

საქართველოში სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის  
რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების  
ინტეგრაცია

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ხუთი წელიწადი

ჯონატან უითლი

ECMI-ის სამუშაო მოხსენება № 44

სექტემბერი 2009 წ.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)  
ECMI სათავო ოფისი: Sifbriuke 12 (kompanietor) D-24939 ფლენსბურგი, გერმანია  
ტელ: +49-(0) 461-14 14 9-0 ფაქსი +49-(0) 461-14 14 9-19 ვებგვერდი:  
<http://www.ecmi.de>

ECMI-ის სამუშაო მოხსენება # 44  
უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)  
დირექტორი: დოქტორი ტოვ ჰ. მალოი

საავტორო უფლებები 2009 წლისთვის ეკუთვნის უმცირესობათა საკითხების  
ევროპულ ცენტრს (ECMI)  
გამოქვეყნებულია 2009 წლის სექტემბერში უმცირესობათა საკითხების  
ევროპული ცენტრის მიერ (ECMI)

**ISSN: 1435-9812**

## სარჩევი

შესავალი.....	4
1. დემოგრაფიული მონაცემები.....	5
2. ეკონომიკა .....	8
3.სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობა: ხელისუფლების პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.....	11
4. ადგილობრივი გავლენიანი ჯგუფები.....	25
5. მიგრაცია და სეზონური შრომა.....	45
6. მიწის განაწილება.....	53
7. მოსახლეობაში გავრცელებული შეხედულებები.....	59
8. დასკვნა.....	70
ბიბლიოგრაფია.....	72

## შესავალი

ჭინამდებარე სამუშაო მოხსენების მიზანია გამოიკვლიოს საქართველო რეგიონებში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის საკითხი, ასევე 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა ხელისფულებისა და ამ რეგიონების უმცირესობათა ჯგუფების ურთიერთობაზე. ნაშრომი შედგება რვა თავისაგან. პირველ თავში მოცემულია ამ რეგიონების მოსახლეობის ზოგადი დემოგრაფიული მახასიათებლები ძირითადად მათ ეთნიკურ და ენობრივ კუთვნილებზე ყირადლების გამახვილებით. მეორე თავი მიმოხილავს ეკონომიკური განვითარების დონეს ადნიშნულ რეგიონებში როგორც სოფლის მეურნეობის ისე მრეწველობის დარგში. მომდევნო თავი ეძღვნება ხელისუფლებისა და საზოგადოების შორის ურთიერთობებს, კერძოდ, ნაჩვენებია, თუ რა ზეგავლენას ახდენს ხელისუფლების მიმდინარე პოლიტიკა განათლების, ადგილობრივი თვითმართველობის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის სფეროებში მოცემული ორი რეგიონის ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესზე. მეოთხე თავში დეტალურადაა აღწერილი ადგილობრივი თვითმართველობის ფორმები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის ორ (ახალქალაქი და ნინოწმინდა, ცნობილია, როგორც ჯავახეთი) და ქვემო ქართლის ხუთ მუნიციპალიტეტში (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი და წალკა); კერძოდ, ნაჩვენებია ადგილობრივი ხელისუფლების რგოლებში ბოლო ხუთი წლის მანძილზე მომხდარი ცვლილებები მუნიციპალიტეტების გავლენიანი პირების გამოვლენის პარალელურად. შემდეგ თავში განხილულია ქართველებისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მიგრაციის პროცესი საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ, როგორც სამუდამო ისე მათი სეზონური მიგრაცია საზღვარგარეთ. მეექვსე თავი შეისწავლის მიწის განაწილების პრობლემური საკითხს, რომელიც საერთოა ორივე რეგიონისთვის. მეშვიდე თავში ყურადღება გამახვილებულია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების შეხედულებაზე მათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. ნაშრომი დასრულებულია დასკვნითი ნაწილით.

## 1. დემოგრაფიული მონაცემები

ცხრილი 1. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა

რეგიონი/რაიონი	ქართველი ები	აზერბაიჯან ელები	სომხები	ბერძნები	სხვა
ქვემო ქართლი	44.71%	45.14%	6.39%	1.49%	2.27%
ქ. რუსთავი	87.77%	4.29%	2.41%	0.22%	5.30%
გარდაბანი	53.20%	43.72%	0.93%	0.21%	1.95%
მარნეული	8.04%	83.10%	7.89%	0.33%	0.63%
ბოლნისი	26.82%	65.98%	5.81%	0.59%	0.80%
დმანისი	31.24%	66.76%	0.52%	0.78%	0.69%
თეთრიწყარო	74.03%	6.47%	10.38%	5.05%	4.07%
წალკა	12.02%	9.54%	54.98%	21.97%	1.50%
სამცხე-ჯავახეთი	43.35%	0.03%	54.60%	0.36%	1.67%
ბორჯომი	84.21%	0.07%	9.64%	1.67%	4.42%
ახალციხე	61.72%	0.03%	36.59%	0.28%	1.39%
ადიგენი	95.70%	0.08%	3.36%	0.03%	0.82%
ასპინძა	82.02%	0.00%	17.47%	0.06%	0.45%
ახალქალაქი	5.27%	0.00%	94.33%	0.08%	0.31%
ნინოწმინდა	1.39%	0.01%	95.78%	0.01%	2.81%

საქართველოს ცხრა მხარიდან მხოლოდ სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ეროვნული უმცირესობები შეადგენებ მოსახლეობის უმრავლესობას. 2002 წლის აღწერის შედეგის მიხედვით, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა 55% თავს იყრის ამ ორ რეგიონში, თუ არ ჩავთვლით თვითგამოცხადებული

რესპუბლიკურის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, სადაც აღწერის ჩატარება ვერ მოხერხდა. სომებმები სამცხე-ჯავახეთში ყველაზე დიდ უმცირესობის ჯგუფს წარმოადგენენ; კერძოდ, ისინი შეადგენენ ახალქალაქისა და ნინოჭმინდის რაიონების (ერთად ასევე ცნობილი, როგორც ჯავახეთი) მოსახლეობის 90%-ზე მეტს. ქვემო ქართლში კი, ძირითად უმცირესობის ჯგუფს აზერბაიჯანელები წარმოადგენენ. ისინი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში, ასევე მოსახლეობის 40%-ზე მეტს - გარდაბნის მუნიციპალიტეტებში. წალკის რაიონში სომები უმცირესობა მოსახლეობის 55%-ს უტოლდება, ხოლო ბერძნული მოსახლეობა თითქმის გამქრალია. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ეთნიკური შემადგენლობა ეფუძნება 2002 წლის აღწერის მონაცემებს და მოცემულია პირველ ცხრილში. წალკის რაიონის ბერძნული მოსახლეობის რაოდენობის აღმნიშვნელი 21.97% რეალობას აღარ შეესაბამება. ამ რაიონში მცხოვრები ბერძნების უმრავლესობა ემიგრაციაში გაემგზავრა (ძირითადად, საბერძნეთში), ამიტომ 2009 წლისათვის მათი რაოდენობა 5%-მდე შემცირდა. ამავდროულად, გაიზარდა ეთნიკური ქართველების რაოდენობა წალკის მუნიციპალიტეტებში (სავარაუდოდ, 40%-მდე), რომლებიც გადმოსახლდნენ აჭარისა (განსაკუთრებით, ხულო) და სვანეთის მაღალმთიანი რეგიონებიდან.

პირველ ცხრილში აღნიშნული სხვა უმცირესობის ქვეშ ძირითადად ეთნიკური რუსები მოიაზრება, რომლებიც შეადგენენ ქალაქ რუსთავის მცხოვრებლების 3.06%-ს, ნინოჭმინდის რაიონის 2.75%-სა და თეთრიწყაროს რაიონის მოსახლეობის 2.72%-ს. ნინოჭმინდის რაიონში რუსების უმრავლესობა არიან დუხობორები, რელიგიური დისიდენტები, რომლებიც ამ რაიონში რუსეთიდან მე-19 საუკუნის შემდეგი გადმოსახლდნენ (ლომი, 2006). გარდა ამისა, 2.22% თხი ეროვნების მოსახლეობა ცხოვობს ბორჯომის რაიონში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ეროვნულ უმცირესობებს გაუჭირდათ დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრირება ქართული ენის არცოდნის გამო, რომელიც გახდა ერთადერთი სახელმწიფო ენა (გარდა აფხაზურისა, რომელსაც, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ასევე მიენიჭა სახელმწიფო ენის სტატუსი აფხაზეთის ტერიტორიაზე). 2002 წლის მონაცემებით, ეროვნულ უმცირესობათა

მხოლოდ 31% ფლობს სრულყოფილად ქართულს.<sup>1</sup> ქართულ ენაზე გამართულად საუბრობენ, ძირითადად, დედაქალაქსა და შერეული მოსახლეობის მქონე რეგიონებში მცხოვრები უმცირესობები, ხოლო შორეულ მონოეთნიკურ რეგიონებში ქართულის ფლობის დონე ძალიან დაბალია. უმცირესობის საკითხთა ეპროპული ცენტრის მიერ 2008 წლის მაისში ჩატარებული კვლევის შედეგად, რომლის დროსაც სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რვა მუნიციპალიტეტიდან 1699 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი გამოიკითხა, დადგინდა, რომ მხოლოდ ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში (სადაც ეთნიკური ქართველების რაოდენობა მეტია, იხ. ცხრილი 1) 10%-ზე მეტი ეროვნული უმცირესობა საუბრობს სრულყოფილად ქართულ ენაზე. კლასიფიკაცია რაიონების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, 2ა და 2ბ ცხრილებში.

#### ცხრილი 2ა. ქართული ენის ფლობის დონე სამცხე-ჯავახეთის ოთხ რაიონში<sup>2</sup>

ქართულის ფლობის დონე	ბორჯომი	ახალციხე	ახალქალაქი	ნინოწმინდა
არ იცის	0.0%	6.7%	47.2%	28.2%
ესმის მხოლოდ სიტყვათა გარკვეული რაოდენობა	11.9%	28.9%	30.3%	52.6%
ესმის თითქმის უველავერი, მაგრამ საუბრობს ელემენტარულ დონეზე	4.8%	37.0%	16.5%	14.1%
ესმის და საუბრობს კარგად, მაგრამ არ შეუძლია წერა	11.9%	3.7%	0.8%	1.3%
ესმის, საუბრობს და წერს გამართულად	71.4%	23.7%	5.1%	3.8%

<sup>1</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები.

<sup>2</sup> კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებიდან შეთხვევით გამოვლენილი შემდეგი რესპონდენტები: 254 ეროვნული უმცირესობა ახალქალაქის რაიონიდან, 156 ნინოწმინდის რაიონიდან, 135 ახალციხის რაიონიდან და 42 ბორჯომის რაიონიდან.

### ცხრილი 2ბ. ქართული ენის ფლობის დონე ქვემო ქართლის ოთხ რაიონში<sup>3</sup>

ქართულის ფლობის დონე	გარდაბანი	მარნეული	დმანისი	წალკა
არ იცის	24.5%	42.2%	8.1%	19.3%
ესმის მხოლოდ სიტყვათა გარკვეული რაოდენობა	47.0%	35.1%	47.5%	49.5%
ესმის თითქმის ყველაფერი, მაგრამ საუბრობს ელემენტარულ დონეზე	14.0%	12.8%	32.3%	22.6%
ესმის და საუბრობს კარგად, მაგრამ არ შეუძლია წერა	6.9%	6.2%	7.1%	2.8%
ესმის, საუბრობს და წერს გამართულად	7.7%	3.8%	5.1%	5.7%

## 2. ეკონომიკა

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ეკონომიკური წარმოება ჩამოუვარდებოდა დედაქალაქის, თბილისის, სწრაფად მზარდ ეკონომიკას. ტენდენცია, რომელიც განვითარდა ყველგან 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, გამოიხატებოდა დედაქალაქის ეკონომიკურ დაწინაურებაში, როდესაც სხვა რეგიონები კვლავ რჩებოდნენ განვითარების დაბალ საფეხურზე. 2007 წელში წლიური ბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე ქვემო ქართლში შეადგენდა საშუალო ეროვნული მაჩვენებლის 59.7%-ს, რაც გაუარესებული მაჩვენებელი იყო 2003 წელს დაფიქსირებულ 67.6%-თან შედარებით. სამცხე-ჯავახეთში შესაბამისი მონაცემებია 22.0% და 35.5%. მსგავსი სურათი იხატება ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის დირებულების გამოანგარიშებისას, რომელმაც დაიწია საშუალო ეროვნული მაჩვენებლის 92.1%-დან 89.9%-მდე ოთხი წლის მანძილზე 2003 წლიდან 2007 წლამდე ქვემო ქართლში და 47.9%-დან 25.7%-მდე - სამცხე-ჯავახეთში. ზემოთ მოცემული ორი ინდიკატორის მიხედვით საქართველოს თერომეტი რეგიონის დაყოფის

<sup>3</sup> კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებიდან შეთხვევით შერჩევით გამოვლენილი შემდეგი რესპონდენტები: 422 ეროვნული უმცირესობა მარნეულის რაიონიდან, 379 გარდაბნის რაიონიდან, 212 წალკის რაიონიდან და 99 დმანისის რაიონიდან.

შემთხვევაში (ცხრა აგრარული რეგიონი, დედაქალაქი, თბილისი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), ქვემო ქართლი ინარჩუნებს მესამე ადგილს ოთხი წლის განმავლობაში, თბილისისა და აჭარის შემდეგ, ხოლო სამცხე-ჯავახეთი მხოლოდ მერვე ადგილზეა (უსტრებს გურიას, კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმს/ქვემო სვანეთს, სტატისტიკის დეპარტამენტი 2008ა). გასათვალისწინებელია, რომ სამცხე-ჯავახეთში საერთო შემოსავლის დონემ აიწია სამრეწველო საწარმოების ხარჯზე, როგორიცაა, საქართველოს მინისა და მინერალური წყლის კომპანია (იხ. ქვემოთ), ისიც, უმთავრესად, რეგიონის ქართულ დასახლებებში. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ორივე წლიური ბრუნვაც და პროდუქციის ღირებულებაც ერთ სულ მოსახლეზე ახალქალაქისა და ნინოწმინდის (ჯავახეთი) სომხურ რაიონებში ძალზე ბადალია.

სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი სასოფლო-სამეურნეო რეგიონებია. ამ რეგიონებში მოდის საქართველოში კარტოფილის მოსავლის ნახევარზე მეტი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიხედვით, დაახლოებით 110,000 ტონა კარტოფლის მოსავალი მიიღო სამცხე-ჯავახეთში 2007 წელს, რამაც ქვეყანაში მიღებული კარტოფლის საერთო მოსავლის 37.4% შეადგინა. ქვემო ქართლში მოსავალმა შეადგინა 60,000 ტონა (კარტოფილის საერთო მოსავლის 20.5%). კარტოფილი ძირითადად მოყავთ მაღალმოიან რაიონებში, როგორიცაა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ასპინძა, დმანისი, თეთრიწყარო და წალკა. ბოსტნეულის სხვა სახეობები, კერძოდ, პომიდორი, კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ისევე როგორც სხვადასხვა სახის ხილი იზრდება ქვემო ქართლის დაბლობში, განსაკუთრებით, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში. ქვემო ქართლში ბოსტნეულის წარმოება გაუტოლდა 79,500 ტონას 2007 წელში, რომელიც ბოსტნეულის საერთო წარმოების 40%-ს შეადგენს (სტატისტიკის დეპარტამენტი, 2008ბ). თუმცა, ბოლო წლებში, ბოსტნეულის, მათ შორის, კარტოფილის მოსავლიანობამ მთელ საქართველოში დაიკლო, რამაც გამოიწვია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში საერთო შემოსავლის შემცირება. გარდა კარტოფილისა, ხორბალი და სიმინდიც უხვად იზრდება ქვემო ქართლის დაბლობ რაიონებში.

მესაქონლეობაც ასევე ხელს უწყობს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში

სოფლის მეურნეობის განვითარებას. მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის მოშენება ფართოდაა გავრცელებული ორივე რეგიონში, განსაკუთრებით, ქვემო ქართლის მაღალ-მთიან რაიონებში, სადაც სათიბი მიწა სასოფლო-სამეურნეო მიწის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ბოლო ხანებში, გაიზარდა კვერცხის წარმოებაც ქვემო ქართლში; 2007 წლისათვის ქვემო ქართლში აწარმოა საერთო კვერცხების რაოდენობის 57.5%; ეს რიცხვი 2003 წელს უტოლდებოდა 14.7%-ს (სტატისტიკის დეპარტამენტი 2008).

სამრეწველო წარმოება ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში წარმოდგენილია რამდენიმე საწარმოთი. ქვემო ქართლში ცნობილია რუსთავის გადამამუშავებელი მეტალურგიული ქარხანა, რუსთავის ქიმიური ქარხანა (რომელიც აწარმოებს ქიმიურ სასუქებს), ჰაიდელბერგის ცემენტის ქარხანა (რუსთავი) და მადნეულის ფოლადისა და ოქროს საბადოები კაზრეთში, ბოლნისის რაიონში. 2005-2006 წლებში ამ საწარმოების პრივატიზების კვალდაკვალ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი წარმოებაც. საწარმოები შეადგენენ საქართველოს ექსპორტის უდიდეს ნაწილს. 2007 წლისათვის, შიდა ქართლში სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე ორჯერ აღემატებოდა ქვეყნის საერთო მაჩვენებელს. თუმცა, საწარმოების მუშაობაზე ზემოქმედებდა მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები და, შედეგად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შეწყდა წარმოება 2008 წლის დასასრულს. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა შეამცირა მოთხოვნა ქართულ ფოლადზე, რის გამოც საწარმოში დასაქმებულთა მეოთხედი დარჩა უმუშევარი. უნდა აღინიშნოს, რომ მადნეულის გამოკლებით, ეს საწარმოები განლაგებული რუსთავში, სადაც უმცირესობათა რიცხვი საკმაოდ მცირეა.

სამცხე-ჯავახეთში ძირითადი სამრეწველო საწარმოა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია, რომელიც აწარმოებს საქართველოში საუკეთესო მინერალურ წყლებს. საწარმო მდებარეობს ბორჯომში, სადაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ეთნიკური ქართველები შეადგენს (იხ. ცხრილი 1), შესაბამისად, ეროვნულ უმცირესობებს დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა რჩებათ. მხოლოდ რამდენიმე საწარმო ფუნქციონირებს ჯავახეთში. თუმცა, აღსანიშნავია ახლახან ადგილობრივი ბიზნესმენის მიერ დაარსებული სამკერვალო ქარხანა ნინოწმინდაში (იხ. ქვემოთ). ამრიგად, 2007 წელში

სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე სამცხე-ჯავახეთში საშუალო ეროვნული მაჩვენებლის ნახევარზე ნაკლები შეადგენდა.

### **3. სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობა: ხელისუფლების პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში**

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოს ხელისუფლება არ ერეოდა უშუალოდ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა, ცალკეული სახელმწიფო ჩინოვნიკები იღებდნენ თავიანთი შემოსავლის უდიდეს ნაწილს კორუფციის გზით, რაც ზიანს აყენებდა მოსახლეობის იმ ფენას, რომელთაც ბიუროკრატიული პროცედურების გამო ძალზე უჭირდათ მაგ. პასპორტის, უმნიშვნელო დახმარების (როგორიცაა, პენსიების) მიღება თუ ბიზნესის დაწყება. უფრო მეტიც, შევარდნაძის სუსტი ხელისუფლება ვერ ახერხებდა ეროვნულ უმცირესობებს შორის სახელმწიფო ენის, ქართულის, სწავლების ხელშეწყობას. შესაბამისად, ქართული ენის ფლობის დონე უაღრესად დაბალი იყო უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ამ გარემოებებმა ხელი შეუშალა ერთიანი “დემოს”-ის შექმნას, რომლისადმი მიკუთვნებულობას თანაბრად იგრძნობდნენ ქართველებიც და სხვა ეთნიკური წარმოშობის მოქალაქეებიც. ენობრივი ბარიერი გახდა ქართველებსა და უმცირესობათა ჯგუფებს შორის ურთიერთობისათვის ხელისშემზღვევი ფაქტორი, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ რუსული კარგავდა ინტერ-ეთნიკური კომუნიკაციის მთავარი ენის ფუნქცია. ახალგაზრდა თაობა, კერძოდ, ქართველი ახალგაზრდები უკვე ვეღარ საუბრობდნენ დამაკმაყოფილებლად რუსულ ენაზე. უმცირესობებისთვის განკუთვნილი ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები კი არაორგანიზებული და უშედეგო იყო, მეტწილად სახელმწიფოს უფრაობის გამო განეხორციელებინა სწორი განათლების პოლიტიკა. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო ართულებდა კომუნიკაციას, ხოლო საზოგადოებრივი სარგებლის ხელმიუწვდომლობა აფერხებდა ინტეგრაციის პროცესს. სკოლის შენობები გამოუსადეგარ მდგომარეობაში იმყოფებოდა,

გარდა ამისა, ჯავახეთი და წალკა ფაქტიურად მოწყვეტილი იქნა ქვეყნის დანარჩენი ნაწილისგან, ვინაიდან გზების სავალალო მდგომარეობის გამო თითქმის შეუძლებელი იყო დედაქალაქში ჩადწევა. საზოგადოებრივი სარგებლის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, უმცირესობებით დასახლებული რეგიონები არ იმყოფებოდნენ განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში სხვა რეგიონებთან შედარებით; მხოლოდ ენობრივი ბარიერი აღვივებდა ოზოლაციისა და გაუცხოვების შეგრძნებას უმცირესობათა ჯგუფებში.

შევარდნაძის დროს ჯავახეთში მოსახლეობისათვის არ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი სარგებლი; ამ მხრივ მოსახლეობას ბევრჯერ დახმარებია ახალქალაქში განლაგებული რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა ადგილობრივ ოჯახებს საარსებო შემოსავლით. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო რუსული ვალუტის ხშირ ბრუნვას რეგიონში და ამ უკანასკნელის კიდევ უფრო ჩამოშორებას დანარჩენი საქართველოსგან. სამხედრო ბაზის არსებობას ადგილობრივი სომები მოსახლეობა მეზობელი თურქეთისგან თავდაცვის გარანტადაც თვლიდა.<sup>4</sup> აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მხრიდან ბაზის დახურვის ყოველი მცდელობა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობიდა წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობის პირთა დანიშვნის კუთხითაც. ხელმძღვანელ პოზიციად ითვლება გუბერნატორის თანამდებობა, რომელიც ინიშნება პრეზიდენტის მიერ და, როგორც წესი, გუბერნატორი ქვეყნის პირველ პირთან დაახლოებული ფიგურა იყო. ჩვეულებრივ, გუბერნატორებად ინიშნებოდნენ ეთნიკური ქართველები. ამის საპირისპიროდ, ვითარება განსხვავებული იყო რაიონების დონეზე<sup>5</sup>, სადაც მაღალ თანამდებობებზე, როგორიცაა, გამგებლის, პოლიციის უფროსის, პროკურორის, საგადასახადოს ხელმძღვანელისა და რაიონული

<sup>4</sup> ჯავახეთის სომხური მოსახლეობა ხშირად მოიხსენებენ სომხების გენოციდს, ე.წ. სომხების მასიურ მკვლელობებს თურქი სამხედროების მიერ პირველი მსოფლიო ომის დროს.

<sup>5</sup> 2005 წელს მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ახალი ორგანული კანონის თანახმად, რაიონის ნაცვლად გამოიყენება მუნიციპალიტეტი.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, პირები ასევე ცენტრიდან ინიშნებოდნენ. კერძოდ, ჯავახეთის ორ რაიონში, ახალქალაქსა და ნინოშვილის, სადაც უმრავლესობას სომხები შეადგენენ, ეს თანამდებობები ეკავათ სომხებს, რომლებიც ცენტრიდან დიდ მხარდაჭერას იღებდნენ. ფრთ მეტიც, ყველაზე გავლენიანი პირები ამ მხარეში იყვნენ სომები ბიზნესმენები, რომლებიც, ყარაბაღის კონფლიქტში საქართველოს “ნეიტრალური” პოზიციის წყალობით, უშუალო მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ნავთობითა და გაზით ვაჭრობაში (უითლი, 2004). პირადი ფინანსური ინტერესების მიმდევარი ბიზნესმენები, ცხადია, ვერ ჩაითვლებოდნენ თავიანთი ხალხის წარმომადგენლებად.

ქვემო ქართლ ში კი, აზერბაიჯანული მოსახლეობა თითქმის არ იყო წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. 1980-იანი წლების ბოლოს, ქვეყანაში გამძვინვარებული ნაციონალიზმის ტალღის ფონზე, ხელმძღვანელ პოსტებზე მყოფი აზერბაიჯენელები ერთიანად გაათავისუფლეს. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში (1995-2003), ქვემო ქართლის გამგებლებად, ისევე როგორც სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობზე მხოლოდ ქართველები ინიშნებოდნენ (ჯავახეთში იგივე თანამდებობები სომხებს ეკავათ). ადგილობრივი აზერბაიჯანელი ლიდერები დაიშვებოდნენ დაბალი რაჩის თანამდებობებზე, სამაგიეროდ, მათაც მიუწვდებოდათ ხელი კორუპციულ გარიგებებზე ქვემო ქართლის გავლენიანი გუბერნატორის, ლევან მამალაძისადმი ერთგულების საზღაურად. ამდენად, აზერბაიჯანულ მოსახლეობას გააჩნდა რამდენიმე საფუძველი თავიანთი უკმაყოფილების გამოსახატავად. ყველაზე ფართოდგავრცელებული პრობლემა იყო საბჭოთა კოლმეურნეობების (“სოვხოზი” და “კოლხოზი”) დაშლის შედეგად მიმდინარე მიწის განაწილების პროცესში არსებული კორუპცია. ადრე კოლმეურნეობების კუთვნილი მიწის დიდი ნაწილი იჯარით გაიცა მეტად საიდულმო გარემოებებში. მიწის მოიჯარები ხდებოდნენ “ადგილობრივი გავლენიანი პირები”, ძირითადად, ყოფილი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ან ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან დაახლოებული პირები. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა ქართველები იყვნენ. აღნიშნული გარემოება უქმნიდა შთაბეჭდილებას ადგილობრივ აზერბაიჯენელებს, რომ ისინი მეორეხარისხოვანი მოქალაქეები იყვნენ თავიანთი ქვეყნისთვის.

ვარდების რევოლუციის შედეგად ახლადარჩეული პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაქართული მოსახლეობის ინტეგრაციისათვის. კერძოდ, სააკაშვილის ადმინისტრაციამ დაიწყო მუშაობა შემდეგი მიმართულებებით: ქართული ენის სწავლება უმცირესობებით დასახლებული რაიონების სკოლებში, რაშიც მთავრობას დიდ დახმარებას უწევდნენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, როგორიცაა, ეუთო; ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ახალქალაქისა და ნინოწმინდის სხვა ქართულ ქალაქებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია (ეს უკანასკნელი განხორციელდებოდა აშშ-ს მიერ დაფინანსებული ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში); ზურაბ უგანიას (ყოფილი პრემიერ-მინისტრი) სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დაარსება, რომელიც ამზადებს უმცირესობათა წარმომადგენლებს საჯარო სამსახურში სამუშაოდ; “პატრიოტული ბანაკები”-ს დაარსება, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ახალგაზრდები; და ბოლოს, ევროსაბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება, რომელიც 2006 წლის აპრილში შევიდა ძალაში.

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისათვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია საქართველოს მთავრობის ინიციატივა ქართული ენის უმცირესობათა ჯგუფებისთვის სწავლებისა და საგანმანათლებლო სისტემის პარმონიზაციის შესახებ. 2005 წლის “ზოგადი განათლების” შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის და სხვა “სოციალური მეცნიერებების” სწავლება ქართულ ენაზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 2010 წლისა. გარდა ამისა, ამავე კანონით შემოღებული ერთიანი ეროვნული გამოცდები მოითხოვს, რომ აკრედიტებულ უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველმა მიიღოს დადგენილი გამსვლელი ქულა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

მთავრობამ განიზრახა დასახული გეგმების განხორციელება უმოკლეს ვადებში, შესაბამისად, დაპირებებმა ვერ გაამართლა და უმცირესობათა ჯგუფებში ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე კვლავ პრობლემად რჩებოდა.

უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველი ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ვერ ახერხებდნენ სათანადოდ მომზადებას ქართული ენაზე გამოცდების ჩასაბარებლად, რომლებიც ფაქტიურად რეფორმის დაწყებისთანავე შემოიდეს. შედეგად, ახალგაზრდები ვერ აბარებდნენ საქართველოს უნივერსიტეტში და ძველებურად კვლავ ერევანსა და ბაქოში მიემგზავრებოდნენ სასწავლებლად. 2005 წელში, როდესაც პირველად ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მკვიდრი სამოცდაოთხი არაქართველი აბიტურიენტიდან მხოლოდ ორმა ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა აკრედიტებულ უნივერსიტეტში. 2008 წელში ეს რიცხვი თითქმის არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო მეტი სომები აბიტურიენტი ლახავდა ჩაბარებისთვის საჭირო ქულების მინიმალურ ზღვარს, ქართულ ენაში მიღებული ქულები დაბლა სწევდა ქულების საერთო ოდენობას და ისინი ვეღარ ხვდებოდნენ ქართულ უნივერსიტეტში. უფრო მეტიც, აბიტურიენტები ვეღარც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში ირიცხებოდნენ ამ უკანასკნელის დახურვის გამო.

მეორე მნიშვნელოვანი წარმატება იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების უმცირესობათა ენებზე თარგმნილი წიგნების გავრცელება. 2007-08 სასწავლო წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წიგნები პირველად დაურიგა პირველი, მეშვიდე და მეათე კლასის მოსწავლეებს. 2008-09 სასწავლო წელს წიგნები ასევე დაურიგდათ მეორე, მერვე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს. მომავალში იგეგმება თარგმნილი სასკოლო წიგნების დარიგება ყველა კლასის მოსწავლეებისთვის. აღნიშნული ინიციატივის განხორციელებმადე, ეროვნულ უმცირესობათა სკოლები მარაგდებოდა ერევნიდან და ბაქოდან მიღებული სასკოლო წიგნებით გარდა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ ქართულ ენაზე გამოცემული წიგნებისა. ამიტომ, უმცირესობათა ენებზე სასკოლო წიგნების გავრცელება წინგადადგმული ნაბიჯია განათლების სისტემის უნიფიკაციისათვის. მთავრობის ამ წამოწყებას მიესალმება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაც მიუხედავად წიგნების თარგმნის ხარისხის თაობაზე არსებული ცალკეული შენიშვნებისა.<sup>6</sup>

<sup>6</sup> ერთ-ერთი სასკოლო წიგნი, რომელიც განკუთვნილი იყო ახალქალაქის სომხური

მთავრობის ინიციატივით დაიწყო აღგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაც. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიმდინარე პროექტის წყალობით გაადგილებულია მოძრაობა ახალქალაქის, ნინოწმინდისა და წალკის მთიან რაიონებში, სამომავლოდ ასევე განხორციელდება მაგისტრალისა და რკინიგზის მშენებლობის პროექტებიც. ახალციხესა და ახალქალაქს შორის გზების უდიდესი ნაწილი აღდგენილია, უკვე შესაძლებელია თბილისიდან ახალქალაქამდე ჩასვლა ოთხსაათნახევარში ნაცვლად ექვსი საათისა. ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა დააფინანსა მეორე დიდი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თბილისი-წალკა-ნინოწმინდის მაგისტრალის რეკონსტრუქციას; პროექტი საგარაუდოდ 2011 წლისთვის დასრულდება. შედეგად, შესაძლებელი გახდება თბილისიდან ჯავახეთამდე მგზავრობა უფრო მცირე დროის მონაკვეთში და, ამავდროულად, გაუმჯობესდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წალკაშიც. თბილისიდან მანგლისამდე (თეთრიწყაროს რაიონი) გზის მონაკვეთი უკვე აღდგენილია, ამდენად თბილისიდან წალკამდე სამგზავრო დრო შემცირებულია სამი საათიდან (2004 წელს) ორ საათამდე (2009 წელს). გარდა ამისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ითვალისწინებს ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას. პროექტი, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მთავრობების 2007 წლის შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება, საგარაუდოდ 2011 წელს დასრულდება.

ინფრასტრუქტურა ვითარდება სხვა სფეროებშიც. ცალკეულ რაიონებში გარემონტდა სკოლები; სკოლების დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით. ქალაქ ახალქალაქის სკოლებში ყველა მოსწავლეს აქვს კომპიუტერით სარგებლობის შესაძლებლობა, თუმცა კომპიუტერების რაოდენობა სოფლის სკოლებში ბევრად ნაკლებია. სკოლებს აქვს საკუთარი ბიუჯეტი<sup>7</sup>, რომლიდანაც მასწავლებლები ხელფასს დროულად იღებენ. ამრიგად,

<sup>7</sup> მოსახლეობისთვის, შეიცავდა აზერბაიჯანულ ენაზე 20-მდე გვერდის ზომის ტექსტს.  
2009 წლის აპრილში ახალქალაქის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებლების განცხადებით, ბიუჯეტი უტოლდებოდა 550 ლარს (330 ევრო-მდე) ერთ მოსაწავლეზე, რომელიც ფარავდა როგორც მასწავლებლების ხელფასს ისე სკოლის შენობის გათბობის ხარჯებსაც. 2008 წლის ბიუჯეტიდან სკოლამ შემოინახა სახსრები მოსწავლეებისთვის წიგნების შესაძენად, მაგრამ შიშობდნენ, რომ გათბობის ხარჯების ზრდის გამო 2009 წლის ბიუჯეტი მკვეთრად შემცირდებოდა.

2004 წელთან შედარებით სკოლებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, თუმცა სკოლების გარკვეული ნაწილი ისევ საჭიროებს რემონტს და გათბობას ზამთარში. 2009 წელს საქართველოს მთავრობამ გამოყო 20 მილიონი ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის, რომლის მიზანია სოფლის საზოგადოებებში არსებული მთავარი ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრა. ამ მიზნით, ბევრ დასახლებაში დანერგეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აპრობირებული მეთოდები, რომლის მიხედვითაც სოფლებში აირჩევიან წარმომადენლობითი საბჭოები, რომელთაც დაეგალიერათ პროექტის მართვა და სათანადოდ გამოყოფილი სახსრების განკარგვა. ხელისუფლება უზრუნველყოფს სასაქონლო-მატერიალური რესურსებით მომარაგებას, ხოლო სოფლის მოსახლეობა შრომითი რესურსის მიწოდების წყარო იქნება. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ მიიღო 476, 903 ლარი, წალკის მუნიციპალიტეტმა – 219, 723 ლარი, დმანისის მუნიციპალიტეტმა – 266, 220 ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტმა – 681, 771 ლარი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა – 271, 595 ლარი, მარნეულის მუნიციპალიტეტმა – 781, 322 ლარი და ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა – დაახლოებით 500, 000 ლარი. მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.<sup>8</sup>

საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ასევე ბუნებრივი აირის მიწოდება ქვემო ქართლის ქალაქებისა და სოფლებისთვის და კერძო კომპანიებზე გაასხვისა ბუნებრივი აირით ოჯახების მომარაგების უფლება. ქვემო ქართლის გუბერნატორის, დავით კირკიტაძის განცხადებით, 2008 წლის ოქტომბერში მარნეულის რაიონის ოთხი სოფელი დაუკავშირდა ბუნებრივი აირის მომარაგების ქსელს.<sup>9</sup> კირკიტაძის დაპირებით, ბუნებრივი აირი უნდა მიეწოდოს ასევე წალკის რაიონსაც, სადაც მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულებას მიეწოდება გაზი. 2008 წლის ბოლოს ხელისუფლებამ ადგილობრივი სადისტრიბუციო კომპანიები მიყიდა აზერბაიჯანულ ბუნებრივი

<sup>8</sup> “სოფლის მხარდაჭერის პროგრამა”, ქვემო ქართლის თავისუფალი მედია, <http://www.cida.ge/media/eng/articles.php?id=77>; ინტერვიუ ავტორთან.

<sup>9</sup> “დავით კირკიტაძე მოითხოვს რეგიონის მთლიანად გაზით მომარაგებას”. ქვემო ქართლის თავისუფალი მედია: ახალი ამბები, (2008 წლის 28 ოქტომბერი), <http://www.cida.ge/media/eng/reginfo.php>.

აირის მიმწოდებელ კომპანიას, სოკარს. მთავარი ქალაქების დიდი ნაწილი და რიგი სოფლებისა ბუნებრივი აირით მარაგდებიან აზერბაიჯანული კომპანიის საშუალებით. ბუნებრივი აირი მიეწოდება ახალქალაქსაც, მაგრამ კერძო მიმწოდებელი კომპანია მოითხოვს 400 ლარს (240 ევრო) სახლებში ბუნებრივი აირის გასაყვანად; ბევრი ოჯახი მოკლებულია შესაძლებლობას გადაიხადოს ეს საფასური. 2009 აპრილისთვის, ქ. ახალქალაქში, 600-მდე ოჯახში გაიყვანეს ბუნებრივი აირი. მთავრობამ დაიწყო ბუნებრივი აირის გაყვანა ჯავახეთის სოფლებშიც.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის შემდეგ ელექტროენერგია შეუფერხებლად, ოცდაოთხი საათის განმავლობაში, მიეწოდება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის თითქმის ყველა რაიონს. დროდადრო შეფერხებები გამოწვეულია ელექტროენერგიის მიმწოდებელი სისტემის ავარიული მდგომარეობით; ამ ვითარების აღმოსაფხვრელად, მთავარმა ენერგო-დისტრიბუტორმა, ენერგო-პრო ჯორჯიამ, რომელიც აწვდის ელექტროენერგიას ქვეყნის ორ მესამედს, დაიწყო ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონებში ელექტროენერგიის მიმწოდებელი სისტემის აღდგენა.<sup>10</sup>

გადასახადების მოკრეფის გაუმჯობესებული სისტემის შემოღებით გაზარდა რეგიონების დაფინანსებაც. შედეგად, ბიუჯეტები ბევრ რაიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა; ამის ნათელი მაგალითია, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, რომლის ოდენობა გაიზარდა 2005 წელში ფიქსირებული 700, 000 (425, 000 ევრო) ლარიდან 9 მილიონ (5.5 მილიონი ევრო) ლარამდე 2009 წელში.<sup>11</sup> მუნიციპალიტეტებს მიეცათ შესაძლებლობა ფულადი სასსრები მიმართონ ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩასატარებლად, როგორიცაა, გზების, ხიდების და საკანალიზაციო სისტემის შეკეთება, ასევე სასმელი წელის მიწოდება.

მიუხედავად ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და რეგიონების

<sup>10</sup> ქვემო ქართლის თავისუფალი მედია: ახალი ამბები (2009 წლის 13 აპრილი და 11 ივნისი), <http://www.cida.ge/media/eng/reginfo.php>.

<sup>11</sup> ახალქალაქის გამგებელთან, ნაირი ირიწიანთან ინტერვიუ, 2009 წლის 14 აპრილი.

საბიუჯეტო სისტემის რესურსებით უზრუნველყოფისა, ეკონომიკა კვლავინდებურად განუვითარებელია როგორც სამცხე-ჯავახეთში ისე ქვემო ქართლში. რეგიონებში სრული დატვირთვით მუშაობს მხოლოდ რამდენიმე საწარმო, მათ შორის, რესთავის მეტალურგიული ქარხანა, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია ბორჯომში და კაზრეთის ოქროსა და სპილენძის საბადოები. როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგიონებში საქონლის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე დაეცა საშუალო ეროვნულ მაჩვენებელთან შედარებით 2003 წლიდან 2007 წლამდე პერიოდში და ეკონომიკური აქტივობები შემოიფარგლება მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციის, კერძოდ, სამომხმარებლო საქონლისა და თხევადი აირის ავზების გაყიდვით. პრეზიდენტი სააკამპილის მიერ 2007 წლის ივლისში მიცემული დაპირება ასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გახსნის თაობაზე კვლავ შეუსრულებელია.<sup>12</sup> სოფლის მეურნეობა რჩება რეგიონში ძირითად საქმიანობად, ამის დასტურად რამდენიმე მცირე და საშუალო საწარმო განაგრძობს ეფექტურ მუშაობას. საქართველოს თავდაცვის მინისტრის დაპირებაც ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის თაობაზე რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანის კომპანიების მიზნით ასევე შეუსრულებელია.<sup>13</sup> მცირე ცვლილებები შეიმჩნევა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაკომპლექტების კუთხით. ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში ხელმძღვანელი თანამდებობები კვლავ გავლენიან სომხებს უკავიათ, რომლებიც ცნობილი იყვნენ ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში და უფრო ადრეც (იხ. ქვემოთ). ამრიგად, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში გამგებლის, პოლიციის უფროსის, პროკურორის და სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობები სომხებს უკავიათ. სკოლის დირექტორებიც სომხები არიან, მათ შორის, ისინიც, რომლებმაც არ იციან ქართული ენა სათანადო დონეზე. მეორე მხრივ, ქვემო ქართლის უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში

<sup>12</sup> სივილ ჯორჯია: ინტერნეტ უფრნალი (2007 წლის 25 ივლისი), <http://www.civil.ge/eng/article.php?id=15494>

<sup>13</sup> სივილ ჯორჯია: ინტერნეტ უფრნალი (2005 წლის 10 აგვისტო), <http://www.civil.ge/eng/article.php?id=10516>; დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო: სამეზობლო პროგრამა, “დანიის კავკასიის პროგრამა 2005-2007: უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის პოზიცია”, <http://www.um.dk/NR/rdonlyres/198301C0-3CFF-4AA0-AA32-3127C7852897/0/NABECMICaucasusProgramme200607final.doc>.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე არიან ქართველები, როგორც ეს შევარდნაძის დროს იყო. მარნეულის, დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში მხოლოდ გამგებლის მოადგილები და გამგეობის რამდენიმე თანამშრომელი არიან აზერბაიჯანელები.

ქვემო ქართლის არჩევით ორგანოებში, საკრებულოში/საბჭოში აზერბაიჯანელთა რაოდენობა პროპორციულად უფრო დაბალია ადგილობრივ მოსახლეობაში მათ საერთო რაოდენობასთან შედარებით. მესამე ცხრილი ასახავს, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელები თითქმის არ არიან წარმოდგენილი იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ; დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების, სადაც აზერბაიჯანელები მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენენ, არჩევით ორგანოებში ისინი უმცირესობაში არიან. ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტში აზერბაიჯანელები შეადგენენ საბჭოს წევრთა მხოლოდ ნახევარს, როდესაც რაიონის მოსახლეობის 80% ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან (შედარება პირველ ცხრილთან). 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით არჩეულთა შორის თითქმის არ იყვნენ უმცირესობათა წარმომადგენლები.

**ცხრილი 3. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რაიონული საკრებულოების წევრების ეთნიკური წარმომავლობა<sup>14</sup>**

რეგიონი/რაიონი	ქართველები	აზერბაიჯანელები	სომხები	ბერძნები	სხვა ეროვნება
ქვემო ქართლი	59.41%	28.22%	9.90%	0.99%	1.49%
ქ. რუსთავი	100.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%
გარდაბანი	59.38%	41.62%	0.00%	0.00%	0.00%

<sup>14</sup> უმცირესობის საკითხთა ეფრაპული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, [http://cec.gov.ge/uploads/attachments\\_old/209\\_2269\\_892400\\_MEMBERSOFSAKREBULOELECTEDTHROUGHPROPORTIONALSYSTEM.doc](http://cec.gov.ge/uploads/attachments_old/209_2269_892400_MEMBERSOFSAKREBULOELECTEDTHROUGHPROPORTIONALSYSTEM.doc) და [http://cec.gov.ge/uploads/attachments\\_old/209\\_2269\\_947315\\_MEMBERSOFSAKREBULOELECTEDTHROUGHMAJORITYANSYSTEM.doc](http://cec.gov.ge/uploads/attachments_old/209_2269_947315_MEMBERSOFSAKREBULOELECTEDTHROUGHMAJORITYANSYSTEM.doc).

მარნეული	31.03%	55.17%	10.34%	0.00%	0.00%
ბოლნისი	57.69%	38.46%	3.85%	0.00%	0.00%
დმანისი	57.69%	38.46%	0.00%	0.00%	3.85%
თეთრიწყარო	82.35%	8.82%	10.38%	2.94%	2.94%
წალკა	47.50%	12.50%	37.50%	2.50%	0.00%
სამცხე-ჯავახეთი	<b>59.59%</b>	<b>0.00%</b>	<b>39.73%</b>	<b>0.00%</b>	<b>0.68%</b>
ბორჯომი	95.24%	0.00%	4.76%	0.00%	0.00%
ახალციხე	69.23%	0.00%	30.77%	0.00%	0.00%
ადიგენი	92.00%	0.00%	8.00%	0.00%	0.00%
ასპინძა	95.45%	0.00%	4.55%	0.00%	0.00%
ახალქალაქი	12.50%	0.00%	87.50%	0.00%	0.00%
ნინოწმინდა	5.00%	0.00%	90.00%	0.00%	5.00%

აღსანიშნავია, რომ გამგებლის დანიშვნის მოქმედი პროცედურა უზრუნველყოფს მკაცრი ცენტრალური კონტროლის შენარჩუნებას არა მარტო ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, არამედ საქართველოს სხვა მხარეებშიც. 2005 წლის დეკემბერში მიღებულმა “ადგილობრივი თვითმმართველობის” შესახებ ახალმა ორგანულმა კანონმა მეტი უფლებამოსილება მიანიჭა საკრებულოს და მის თავმჯდომარეს, კერძოდ, გამგეობა აღასრულებს საკრებულოს გადაწყვეტილებებს და გამგებელი ინიშნება საკრებულოს მიერ კონკურსის წესით. გამგებელი ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე, რომელიც განსაზღვრავს მის შრომით პირობებს. ძველი კანონმდებლობით, გამგებელი ფორმალურად მხოლოდ პრეზიდენტს ემორჩილებოდა.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს<sup>15</sup>

<sup>15</sup> 2004 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაზვერვის სამსახურის გაერთიანების შემდეგ, სამინისტრომ მოიპოვა სახელმწიფო აპარატის, მათ შორის, რეგიონალური რგოლების კონტროლის შესაძლებლობა. მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილი, რომელიც პრეზიდენტის ახლო მეგობარია, თითქმის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური

გავლენიანი პირებს ან რეგიონის გუბერნატორს გავლენა მოეხდინათ მათთვის სასურველი კანდიდატის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნაზე. ცენტრალური კონტროლის არსებობის ფაქტს მოწმობს ის გარემოება, რომ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მუნიციპალიტეტების საბჭოებში გაიმარჯვა აბსოლუტური უმრავლესობით. ამიტომ, კანონმდებლობაში ცვლილებების მიუხედავად, ლიდერი პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახით, ახორციელებს ცენტრალიზებულ ძალაუფლებას საქართველოს რეგიონებში. ცენტრალიზებული ძალაუფლება განსაკუთრებით ძლიერია გამგებელთა დანიშვნის დროს ქვემო ქართლში; მარნეულში საკრებულომ ფაქტიურად შეწყვიტა მუშაობა გამგებლის დანიშვნის შედეგად, რომლის კანდიდატურაც რუსთავის გუბერნატორის არჩევანი იყო. ახალქალაქში რამდენიმე კანდიდატი იღებდა მონაწილეობას გამგებლის არჩევნებში, 2008 წელს გამგებელი შეცვალეს (იხ. ქვემოთ) და, გადმოცემით, ახალციხის გუბერნატორს დიდი წვლილი მიუძღვის შესაბამისი კანდიდატის შერჩევაში. აქედან გამომდინარე, ახალმა ორგანულმა კანონმა რეალური გავლენა ვერ მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაკომპლექტების არსებულ პრაქტიკაზე ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

ორგანული კანონით გამოწვეული ძირითადი ცვლილებები უკავშირდება რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას. ახალი კანონის შემოდებით, გაუქმდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თემი, რომელიც სოფელს ან სოფლების გაერთიანებას აღნიშნავდა. საკუთარი საბჭოს ან საკრებულოს არჩევის ნაცვლად, თითოეული სოფელი უშუალოდ აირჩევს ერთ წარმომადგენელს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომელიც ვალდებულია დაიცვას სოფლის ინტერესები საკრებულოში. ამავე დროს, გამგეობაც ნიშნავს თავის წარმომადგენელს, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, სპეციალისტს თითოეულ სოფელში. პარალელური სისტემის მიხედვით, სოფელს ჰყავს როგორც არჩეული წარმომადგენელი ისე მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელიც. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა უმრავლესობის განცხადებით, გამგეობის წარმომადგენლის პოზიცია არის დომინანტური თანამდებობა. ცხადია, რომ საკრებულო არ

---

ფიგურაა. ცნობილია, რომ მერაბიშვილი და მისი მოადგილები განსაზღვრავენ რეგიონებში ძირითად თანამდებობებზე დასანიშნ კანდიდატურებს.

ერევან მუნიციპალიტეტის კოველდლიურ საქმიანობაში, ადგილობრივი ბიუჯეტის განმკარგველი და მასზე პასუხისმგებელი გამგეობა და მისი წარმომადგენლებია.

კვლავ ცენტრალიზებული სისტემით ინიშნებიან თანამდებობებზე სკოლის დირექტორები, თუმცა კანონმდებლობა ამ კუთხითაც შეიცვალა. 2005 წლის “ზოგადი განათლების” შესახებ კანონის თანახმად, სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელშიც მშობლები, მასწავლებლები და ერთი მოსაწავლე შედიან, ირჩევს სკოლის დირექტორს. ახალი სისტემით სკოლის დირექტორთა პირველი არჩევნები 2007 წელს ჩატარდა; მარნეულში გამოკითხული რესპონდენტების აზრით, სკოლის დირექტორთა არჩევის ახალი მოდელი მაინც ცენტრალიზებულია. აზერბაიჯანული სკოლების დირექტორებად კვლავ რჩებიან მრავალი წლის წინ ცენტრის მიერ დანიშნული პირები. მარნეულსა და ბოლნისში არ ყოფილა შემთხვევა, რომ სკოლის დირექტორები თავად სკოლებს აერჩიოს. არსებული მონაცემებით, ბოლნისის ერთ-ერთ სოფელში იყო ასეთი მცდელობა, მაგრამ მოწონებული კანდიდატი არ დაამტკიცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. უარის მიზეზად სამინისტრომ განმარტა, რომ 2009 წლის ოქტომბრამდე სამინისტრო ნიშნავდა სკოლის დირექტორებს, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება “ზოგადი განათლების” შესახებ კანონის დებულებებს.<sup>16</sup> ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, ქართული ენის არასათანადოდ ფლობის გამო, სკოლის დირექტორებმა ვერ ჩააბარეს ახალი საკვალიფიკაციო გამოცდები, რომელიც 2007 წლის იანვარში ჩატარდა. 150 დირექტორიდან მხოლოდ ორმა ჩააბარა გამოცდები, თუმცა ბევრი მათგანი რჩება მოქმედ დირექტორად ვიდრე ხელმეორედ არ ჩააბარებენ გამოცდებს 2009 წლის ბოლოს. რამდენიმე შემთხვევაში სკოლის სამეურვეო საბჭოებმა თავიანთი კანონისმიერი უფლება გამოიყენეს და უარყვეს სამინისტროს მიერ ნომინირებული დირექტორობის ახალი კანდიდატები.

ბოლო ხანებში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მომდლავრდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იძულებითი კონტროლი,

<sup>16</sup> ავტორის ინტერვიუ.

განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. სამინისტროს უშიშროების სამსახურებმა რამდენჯერმე დაკითხეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები და სხვა სამოქალაქო აქტივისტები ჯავახეთში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულებების გამოსავლენად. რეგიონის საქმიანობაში ჩარევას მიაწერენ იმ ფაქტს, რომ მინისტრი, ვანო მერაბიშვილი და მისი გავლენიანი მოადგილე, ამირან მესხელი არიან ახალციხიდან და, სჯერათ, რომ მათ ნინოწმინდასა და ახალქალაქში მიმდინარე პროცესებში ჩარევის პირადი დაინტერესება აქვთ. ცალკეული ადგილობრივი პირების გადმოცემით, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონული ოფისის ახალქალაქის რაიონის ფილიალი დაზვერვის ინფორმაციის თავშეყრის მთავარი ადგილია და, ამიტომ, სამსახური, ჩვეულებრივ, იწოდება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტად.<sup>17</sup> ხოლო წალკის მუნიციპალიტეტში, სამართალდამცავი ორგანოების ნაკლები წარმომადგენლობის გამო ადგილი ჰქონდა ძალადობის ფაქტებს 2005 წელს (უითლი 2006); მას შემდეგ პოლიციის ჩარევა რაიონში საგრძნობლად გაიზარდა.

#### 4. ადგილობრივი გავლენიანი ჯგუფები

ადგილობრივ ელიტურ ფენას საკმაო გავლენა გააჩნია სამცხე-ჯავახეთის სომეხი უმცირესობით დასახლებულ რაიონებში (ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, ე.წ. ჯავახეთი), ასევე ქვემო ქართლში, სადაც ძირითადად აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს (მარნეულის, დმანისისა და ბოლნისის რაიონები). წალკის რაიონში, სადაც სხვადასხვა ეროვნული უმცირესობები სახლობდნენ, გავლენიანი ელიტა ძალაუფლებას ინარჩუნებდა 2005-06 წლებში ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის მომდლავრებამდე.

<sup>17</sup> ავტორის ინტერვიუ. 2004 წელს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროებასთან დაკავშირებული საქმეები განაწილებული აქვს სამინისტროს სხვადასხვა რგოლს.

## პატივული

ცალკეულმა ეკონომიკურმა ჯგუფებმა, ე.წ. კლანებმა, ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ჯავახეთში 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან (უითლი 2004). კლანებს მართავდნენ გავლენიანი ადგილობრივი ოჯახები, რომლებიც გამდიდრნენ<sup>18</sup> ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს ან მისი დაშლის შემდეგ, ბაზალტის, ნავთობისა და აირით ვაჭრობის შედეგად. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს არსებობდა ორი ძლიერი კლანი, რომლებსაც პერიოდულად აქტიურ მხარდაჭერას უწევდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირები. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დაშლისა და ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ უგანიას, ოპოზიციაში გადასვლის შედეგად 2001 წლის ბოლოს, შევარდნაძის მხარდამჭერებს დიდი უპირატესობა გააჩნდათ ზურაბ უგანიას ფრაქციასთან შედარებით.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, შევარდნაძის მომხრეთა ჯგუფი ადარ განიხილებოდა ლიდერობის ერთ-ერთ კანდიდატად, მაგრამ სააკაშვილის თანამებრძოლის, ვანო მერაბიშვილის (წარმოშობით ახალციხიდან, შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრი) წყალობით ბევრი მათგანი კვლავ გვევლინება მმართველ თანამდებობებზე.<sup>19</sup> ნინოწმინდის პარლამენტის წევრი, ენერ მქონიანი, რომელიც ადრე შევარდნაძის ერთგული მხარდამჭერი იყო, დაინიშნა სააკაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსად 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, დღესდღეობით კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურაა. მიუხედავად ზურაბ უგანიას პრემიერ-მინისტრად დაინიშნისა 2004 წელში, მისი გუნდი პოპულარობით მაინც ვერ სარგებლობდა ჯავახეთში, ხოლო მისმა გარდაცვალებამ 2005 წლის თებერვალში, გუნდის ავტორიტეტი კიდევ უფრო შეამცირა.

<sup>18</sup> მაგალითად, ერთ-ერთ ოჯახს პქონდა ლითონისა და ჩამოსასხმელი გაზის ბიზნესი საბჭოეთის ხანაში. წყარო: რუსიო მუმლაძე, “კლანური სამართლი სამცხე-ჯავახეთში”, რეზონანსი, 2002 წლის 27 მარტი. საბჭოთა პერიოდის ბოლოს არსებული შავი ბაზარი მსგავსი ბიზნეს-საწარმოების მფლობელებს, მიუხედავად კერძო მეწარმეების აკრძალვისა, კერძო საქმიანობით სახსრების მოძიების საშუალებას აძლევდა.

<sup>19</sup> თამარ ასათიანი “მმართველი პარტიის პრობლემები: ‘რეგიონული’”, 24 საათი (2005 წლის 4 თებერვალი), <Http://www.24hours.ge/index.php?n=188&r=8&id=694>.

ენზელ მქოიანი, შეიძლება ითქვას, ყველაზე გავლენიანი ფიგურაა ჯავახეთში. მასთან დაახლოებული პირები კი, როგორც ამბობენ, წარმართავენ ჯავახეთის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს. ნინოწმინდის რაიონის პარლამენტის წევრის სტატუსით მას იწვევენ სხვადასხვა საპარლამენტო დელეგაციების შეხვედრებზე საზღვარგარეთ.<sup>20</sup> მქოიანის ახლობლები იკავებენ მაღალ თანამდებობებს ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში, მათ შორის აღსანიშნავია, ნინოწმინდის პოლიციის უფროსი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრი (რომელიც მქოიანის ნათესავია), ახალქალაქის რესურსცენტრის დირექტორი და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის რაიონული საარჩევნო კომისიის უფროსი. ამბობენ, რომ მქოიანის ოჯახი აქტიურად მონაწილეობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებში ჯავახეთში, კერძოდ სოფელ გორელოვკაში, რომელიც დღემდე რუსი დუხობორებით იყო დასახლებული (იხ. ქვემოთ); და ბოლოს, მქოიანის მეუღლე, სახელმწიფო ენის არცოდნის მიუხედავად, 2007 წლის აგვისტოში გახდა ახალქალაქის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორი მეტად საეჭვო ვითარებაში.<sup>21</sup>

ნინოწმინდაში მეორე მძლავრი ფიგურაა მელს ბდოიანი, ყოფილი პარლამენტის წევრი იმავე საარჩევნო ოლქში, რომელსაც ნინოწმინდის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა საბჭოთა რეჟიმის მიწურულს. 2004 წლის ბოლოს ნინოწმინდის გამგებლად არჩევით მან კვლავ დაიბრუნა დაკარგული ძალაუფლება. 2006 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს პროპორციული სისტემით მონაწილე კანდიდატთა სია წარადგინა მხოლოდ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ (ნინოწმინდის საბჭოს ათი წევრი აირჩა პარტიის სიებით, ხოლო დარჩენილი ათი კანდიდატი – თემის საარჩევნო ოლქიდან, რომელიც

<sup>20</sup> საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, “საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძისა და საპარლამენტო დელეგაციებს ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში” (2009 წლის 31 მაისი), [http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=1132&info\\_id=2334](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=1132&info_id=2334); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი, “საქართველოს დელეგაციის ვიზიტი ესტონეთში დასრულებულია” (2007 წლის 4 ოქტომბერი), <http://www.justice.gov.ge/October%202007.html>.

<sup>21</sup> “ახლად-არჩეული დირექტორი არ ფლობს სახელმწიფო ენას”, (2007 წლის 22 აგვისტო), <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=1803&lang=en>.

ეფუძნებოდა უკვე გაუქმებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველაზე დაბალ საფეხურს); თუმცა, ეს სია თანაბრად განაწილდა, ერთი მხრივ, მქონის გუნდსა და, მეორე მხრივ, ბდოიანის გუნდს შორის (ლომი, 2007). ის კანდიდატები, რომლებიც შეირჩნენ უშუალოდ სოფლის საარჩევნო ოლქიდან, ასევე თანაბრად განაწილდნენ. მქონის გუნდმა მხარი არ დაუჭირა ახალი საკრებულოს თავმჯდომარედ ბდოიანის არჩევას, შედეგად, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორისა და სხვა გავლენიანი თანამდებობის პირების დახმარებით, ბდოიანს პირადი განცხადების საფუძველზე დაატოვებინეს თანამდებობა. მოგვიანებით, ბდოიანი დააპატიმრეს ქრთამის აღების ბრალდებით.

რეგიონში ძალზე გავლენიანი ფიგურაა სამველ პეტროსიანი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების უმოქმედობის უამს 1990-იანი წლებში გავლენიანი საზოგადოებრივი მოძრაობის, ჯავახის ლიდერი იყო (უითლი 2004; ლომი 2007). პეტროსიანი დაინიშნა ადგილობრივი საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილედ შევარდნაძის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციის შემდეგ, 1990-იანი წლების შუა პერიოდში, მაგრამ იგი მალევე გაათავისუფლეს. ეტროსიანი ისევ გამოჩნდა ასპარეზზე, როდესაც იგი დაინიშნა ახალქალაქის რაიონის პოლიციის უფროსად 2006 წლის ზაფხულში. ამრიგად, ცენტრალური ხელისუფლება კვლავ ცდილობს ადგილობრივ ხელისუფლებაში შეინარჩუნოს ცენტრის მიმართ ლოიალურად განწყობილი სომეხი ეროვნების პირები.

ახალქალაქისა და ნინოწმინდის გამგებლები არიან რაიონების აღმასრულებელი რგოლის მეთაურები, მაგრამ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე ისინი რეალურად წარმოადგენენ სხვადასხვა ეკონომიკური ჯგუფების ინტერესებს. თუმცა, ახალქალაქის მოქმედი გამგებელი, ნაირი ირიციანი არის უფრო დამოუკიდებელი ფიგურა, რომელიც ადრე ჩართული იყო პოლიტიკური ორგანიზაციის, ერთიანი ჯავახის საქმიანობაში და შემდგომ აირჩიეს არასამთავრობო ორგანიზაციების ასოციაციის, ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმის თანათავმჯდომარედ (იხ. ქვემო). არასამთავრობო სექტორში სამუშაო გამოცდილების წყალობით, გამგებელმა შეძლო ცალკეული დემოკრატიული მიმდინარეობების დანერგვა მუნიციპალიტეტში. უპირველესად, მან გააძლიერა დემოკრატიული კონტროლის მექანიზმი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრების განკარგვაზე

(იხ. ზემოთ), რომელიც 2009 წელში 500,000 ლარს უტოლდებოდა (მუნიციპალიტეტის საერთო ბიუჯეტის ნაწილია, იხ. ზემოთ) და ამ საკითხის გადაწყვეტა მიანდო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეულ გამგეობას. მისი მეორე ინიციატივა გამოიხატა სოფელში გამგეობის წარმომადგენლის ან საეციალისტის შესარჩევად არჩევნების წესის შემოღებაში ინ შემთხვევებში როცა ერთზე მეტი კანდიდატია მსურველი.<sup>22</sup>

ჯავახეთის დომინანტი ჯგუფების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების შედეგად, საფრთხე დაემუქრა ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურულ გამჭვირვალობას. ჯავახეთის ეკონომიკის განვითარების დაბალი დონის გამო, მხოლოდ რამდენიმე სახის ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლიანად, მათ შორის, თხევადი აირისა და ნავთობის იმპორტ-ექსპორტი, რომელიც გავლენიანი ეკონომიკური ჯგუფების სრულ კონტროლ ექვემდებარება (უითლი 2004). ბოლო წლების მანძილზე, სხვა დაინტერესებული ჯგუფებიც ცდილობდნენ ამ ეკონომიკურ ქსელში მოხვედრას თუმცა ცვალებადი წარმატებით.

ამ მხრივ, ყველაზე ნაკლები წარმატების მქონედ ჩაითვლება ოპოზიციური პარტიები. მათი უმრავლესობა თბილისში საქმიანობს და ინტერესი თითქმის არ გამოუჩენიათ ჯავახეთის მიმართ ბოლო ათი წლის მანძილზე. გარდა ამისა, ადგილობრივი სომხური მოსახლეობა, რომლისთვისაც ხელმიუწვდომელია ქართული მედია საშუალებები ენობრივი ბარიერის გამო, ნაკლებად არის ინფორმირებული ოპოზიციური პარტიების არსებობის შესახებ. 2008 წლის მაისში უმცირესობის საკითხთა ეკროპული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიგნებების თანახმად, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, არაქართული მოსახლეობას სპონტანურად ასახელებდა საშუალოდ 1.94 პარტიას არჩევნებში მონაწილე თორმეტი პარტიიდან და ბლოკიდან, ხოლო კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ქართული მოსახლეობა – საშუალოდ 4.01 პარტიას. პარტიათა სიის წაკითხვის შემდეგაც, ჯავახეთის არაქართული მოსახლეობა ცნობდა საშუალოდ მხოლოდ 2.83 პარტიას, ხოლო

<sup>22</sup> ავტორთის ინტერვიუ.

სამივე რეგიონის ქართული მოსახლეობა – 6.67-ს.<sup>23</sup> სავარაუდოდ, ადგილობრივი მოსახლეობა ხმას მაინც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მიცემდა, თუმცა არც ოპოზიციურმა პარტიებმა იზრუნეს საარჩევნო კამპანიების ორგანიზებაზე ჯავახეთის რაიონებში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ უფრო შეამცირა მათი გავლენა რეგიონში.

უკანასკნელი წლების მანძილზე ოპოზიციური პარტიები არჩევნებში წარმატებას მხოლოდ ადგილობრივ გავლენიან ჯგუფებთან დაახლოების შემთხვევაში აღწევდნენ. კერძოდ, 1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფი, რომელიც უკმაყოფილო იყო შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირის მმართველობით, გაერთიანდა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასთან და მოაგროვა ხმების 19.45% ახალქალაქის რაიონში, ხოლო 26.56% - ქ. ახალქალაქში (სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 1999). ანალოგიურად, 2003 წლის სადაც საპარლამენტო არჩევნებში, რომელსაც შედეგად ვარდების რევოლუცია მოჰყვა, ოპოზიციურმა საარჩევნო ბლოკმა “ბურჯანაძე-დემოკრატებმა” ზურაბ ევანიასა და ნინო ბურჯანაძის ლიდერობით მიიღო ხმათა 23.36% ახალქალაქის რაიონში უვანიასთან დაახლოებული ადგილობრივი გავლენიანი ჯგუფის დახმარებით (იხ. ზემოთ). ამავე არჩევნებში, არადიარებული ადგილობრივი პარტიის, “ვირკის”, (იხ. ქვემოთ) ლიდერი, დავით რსტაკიანი, გაერთიანდა პარტია ახალ მემაჯრევენებთან და მოიპოვა ხმების თითქმის 10% ახალქალაქსა და ნინოშვილდაში. 2006 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ერთიანმა ჯავახმა თავისი კანდიდატები პარტია, “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”, სიაში ირიცებოდნენ და შედეგად ხმების 32.55% მოიპოვეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, რომელიც არის ოპოზიციური პარტიების მიერ ოდესმე რეგიონებში მოგროვებული ხმების უმაღლესი ოდენობა. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში, როდესაც ადგილობრივ ჯგუფებს არ ყოლიათ საკუთარი კანდიდატები ოპოზიციური პარტიების სიებში, აბსოლუტური უმრავლესობით მოიგო ერთიანმა

<sup>23</sup> ორივე შემთხვევა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 0.001 დონეზე, ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ლეგინის ტესტი თანასწორობის ვარიაციათა და ტესტი საშუალებების თანასწორობის შესახებ.

ნაციონალურმა მოძრაობამ (ხმების 90.21% ახალქალაქის რაიონში, 91.69% - ნინოწმინდაში ხმების 59.18% ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით).<sup>24</sup>

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, ჯავახეთში გამოიკვეთა რამდენიმე აქტიური ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია. პირველი ადგილობრივი სომხური ორგანიზაცია, ჯავახი დაარსდა 1988 წელს, რომლის მიზანი იყო სომხური მოსახლეობის დაცვა მათი შეხედულებით ქართველი ნაციონალისტებისაგან მომავალი საფრთხისაგან 1991 წელს პრეზიდენტად არჩეული ზვიად გამსახურდიას ლიდერობით. ჯავახს შეეძლო იარაღის მოპოვება უკვე დაშლის პირას მყოფი საბჭოთა ჯარის უკონტროლო სამხედრო ბაზებიდან. ორგანიზაციის ცალკეული წევრები ეხმარებოდნენ სომხურ მხარეს 1988 წლიდან 1994 წლამდე მიმდინარე ყარაბახის კონფლიქტში. ჯავახი ფაქტიურად მართავდა პოლიტიკურ ცხოვრებას რეგიონში 1990-იანი წლების დასაწყისში. მოძრაობის წინააღმდეგობის შედეგად გამსახურდიამ ვერ დანიშნა თავისი კანდიდატი ახალქალაქის რაიონის პრეზექტად (გამგებელი). სამაგიეროდ ეს თანამდებობა ჯავახის ერთ-ერთ ლიდერს, სამველ პეტროსიანს, ხვდა წილად (იხ. ზემოთ). 1992 წლის მარტში, შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ჯავახმა ნელ-ნელა დაკარგა თავისი გავლენა. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან შევარდნაძემ დაიწყო “გათიშე და იბატონე”-ს პოლიტიკის გატარება, კერძოდ, ორგანიზაციის ლიდერებს თავაზობდა თანამდებობებს ადგილობრივ ხელისუფლებაში; მათ შორის, პეტროსიანი დაინიშნა საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილედ.

მეორე გავლენიანი ორგანიზაციაა ვირკი. ვირკი დაფუძნდა 1990-იანი წლების ბოლოს რეგიონული პოლიტიკური პარტიის სახით, რომლის მიზანი იყო საქართველოს ფარგლებში ჯავახეთის პოლიტიკურ ავტონომიად გარდაქმნა; გაერთიანებას უარი ეთქვა პოლიტიკურ პარტიად რეგისტრაციაზე იმ საფუძვლით, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი კრძალავს რეგიონულ პარტიებს (უითლი 2004; ლომი 2007). ვირკს არასდროს ჰყოლია იმ რაოდენობით მიმდევარი, რამდენიც ჯავახს.

<sup>24</sup> იხილეთ მონაცემები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე, [www.cec.gov.ge](http://www.cec.gov.ge).

შედარებით ახლად ჩამოყალიბებული ორგანიზაციებს წარმოადგენენ ჯავახეთის ახალგაზრდული სპორტული კავშირი და არარეგისტრირებული პარტია, ერთიანი ჯავახი, რომელიც სპორტული კავშირის რამდენიმე ლიდერმა დააფუძნა. ჯავახეთის ახალგაზრდული სპორტული კავშირი არასამთავრობო ორგანიზაციის სახით ჩამოყალიბდა 2001 წელს და მიზნად ისახავდა ჯავახეთის ახალგაზრდობის მასიური მიგრაციის შექერებას სპორტული ღონისძიებების ორგანიზებითა და ოცზე მეტი სპორტული დარბაზის დაარსებით ახალქალაქსა და მიმდებარე სოფლებში. 2005 წელს ორგანიზაციის რამდენიმე აქტივისტმა, მათ შორის, ჯგუფის ლიდერმა, ვაგ ჩახალიანმა დააფუძნეს პოლიტიკური ორგანიზაცია ერთიანი ჯავახი. ერთიანი ჯავახი პირველად გამოჩნდა 2005 წლის 13 მარტს, როდესაც მათ ფართომასშტაბიანი საპროტესტო მიტინგი მოაწყვეს ახალქალაქიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანის წინააღმდეგ. რუსეთის სამხედრო ბაზა ადგილობრივი ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა და მოსახლეობისთვის თურქეთის აგრესის თავიდან აცილების გარანტი იყო. რამდენიმე ათასი ადამიანი გამოთქვამდა პროტესტს ამ მიტინგზეც და 31 მარტს ხელმეორედ გამართულ მიტინგზეც. ერთიან ჯავახი იყო ახალგაზრდა აქტივისტების გაერთიანება, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ძველი ჯავახის ორგანიზაციის წევრების ხელისუფლებასთან დამოკიდებულების თაობაზე. ერთიანმა ჯავახმა პოპულარობის პიკს მიაღწია 2006 წლის სექტემბერში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს. მართალია, ორგანიზაციას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მსგავსი მიზეზით, რაც ვირკის რეგისტრაციაზე უარის საფუძველი იყო, პარტია “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”-თან შეთანხმებით, მისი წევრები შევიდნენ პარტიის კანდიდატთა საარჩევნო სიაში. შედეგად, ერთიანი ჯავახის რამდენიმე წევრი კენჭს იყრიდა ახალქალაქის სოფლების მასშტაბით ოცდაორ საარჩევნო ოლქში. პარტიამ “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს” მიიღო 30%-ზე ხმა (იხ. ზემოთ), ხოლო ახალქალაქის ყოფილმა მერმა და უკვე ერთიანი ჯავახის მომხრემ, ნაირი ირიციანმა, მოიგო ქ. ახალქალაქის ერთ-მანდატიან საარჩევნო ოლქში უფრო მეტი ხმით ვიდრე ხელისუფლების ფავორიტს ჰქონდა. ერთიანი ჯავახის მომხრემ, ანდრანიკ აბელიანმა, ასევე არჩევნებში გაიმარჯვა კუმურდოს დასახლებაში. ნაკლები წარმატება ქონდა ორგანიზაციას ნინოწმინდის რაიონში, სადაც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ფაქტიურად არ ყავდა კონკურენტი და მათი კანდიდატები მხარს უჭერდნენ ან

ენზელ მქონანს ან მელს ბდონანს (იხ. ზემოთ).

ერთიანი ჯავახის წარმატებამ მიიპყრო ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების ურადღება, რომლებმაც განიზრახეს მოძრაობის ძალაუფლების დაკინება. არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ, ერთიანმა ჯავახმა მოაწყო დემონსტრაცია ახალქალაქში ხმების მასიური გაყალბების ფაქტოან დაკავშირებით.<sup>25</sup> დემონსტრაციის მონაწილეებმა განიზრახეს ჯავახეთის რაინული საარჩევნო კომისიის შენობის დაკავება, შედეგად ადგილი ქონდა ფიზიკური დაპირისპირებას, რომელსაც მოყვა პაერში სროლები. შედეგად, პოლიციის მეთაური, სამველ პეტროსიანი, მსუბუქად დაშავდა. მალევე დააკავეს ჩახალიანი სომხეთში გადასვლისთანავე, თუმცა სამი კვირის შემდეგ ისევ გაათავისუფლეს. ადგილობრივი გავლენიანი ჯგუფები დაუპირისპირდნენ ერთიანი ჯავახის მოძრაობას, რაშიც მათ მხარი ოდესდაც ყოფილმა ოპონენტმა რადიკალმა, დავით რსტაკიანმა (ვირკის ლიდერი).

ერთიანმა ჯავახმა დაიწყო დაშლა 2007-08 წლებში. ვითარება კვლავ დაძაბული იყო სადაცო არჩევნების შემდგომ თვეებშიც. ირიციანი აკრიტიკებდა ადგილობრივ ხელისუფლებას, ვინაიდან არ დანიშნეს ახალქალაქის საკრებულოს ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარედ მაინც მიუხედავად იმისა, რომ მან ხმების დიდი რაოდენობით გაიმარჯვა არჩევნებში. 2007 წლის აპრილში ის დააკავეს კიდევაც ერთიანი ჯავახის აქტივისტებთან ერთად (მათ შორის, აბელიანთან) და ადგილობრივი პროკურორის მძღოლთან ჩხუბის ფაქტებზე.<sup>26</sup> თუმცა, მოგვიანებით ირიციანის თანამოაზრე, არუციუნ ოვანესიანი, დაინიშნა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებლად (2007 წლის 7 თებერვალს), თავად ირიშიანი კი - მის მოადგილედ.<sup>27</sup> 2008 წლის 2 მაისს ოვანესიანის ახალქალაქის ერთ-მანდატიანი საარჩევნო ოლქში საპარლამენტო არჩევნებისთვის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის

<sup>25</sup> გადმოცემით, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 100%-ზე მეტი ხმა მიიღო ერთ-ერთ სოფელში.

<sup>26</sup> “ახალქალაქის ყოფილი მერი დაკავებულია”, *Armenian News* (2007 წლის 25 აპრილი), <http://www.armtown.com/news/en/lra/20070425/12105/>.

<sup>27</sup> “საბჭოს ახალი პრეზიდენტი” (A-info-ს ვებ-გვერდი, 2008 წლის 10 თებერვალი), <http://www.a-info.org/eng/full.php?id=1922>, მოპოვებულია 2009 წლის 28 ივნისს.

კანდიდატად შერჩევის შემდეგ კი, ირიციანი გახდა გამგებელი.<sup>28</sup> ირიციანმა, ყოფილმა ოპოზიციონერმა, შეძლო საერთო ენის გამონახვა სელისუფლებასთან და, შესაძლოა, სწორედ მისი გავლენის გამო, ოვანესიანმა და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მოიპოვა უპრეცედენტო გამარჯვება ახალქალაქში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში (იხ. ზემოთ). სელისუფლების მოწინააღმდეგები (როგორიცაა, ერთიანი ჯავახის შემორჩენილი აქტივისტები) შემდგომშიც არ სარგებლობდნენ რომელიმე ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერით.

ვააგ ჩახალიანი კი განაგრძობდა ადგილობრივ მთავრობასთან დაპირისპირებას, მისი ურთიერთობა განსაკუთრებით დაძაბული იყო ახალქალაქის პოლიციის უფროსთან, სამველ პეტროსიანთან. პეტროსიანის სახლთან მოხდა აფეთქება 2008 წლის 17 ივლისს, რაც დაბრალდა ერთიანი ჯავახის აქტივისტს, გურგენ შირინიანს. პოლიციამ დაიწყო სპეც-ოპერაციები ერთიანი ჯავახის წევრების ასაყვანად, რომლის დროსაც ორი პოლიციელი დაიღუპა საკმაოდ გაურკვეველ ვითარებაში, ხოლო ერთიანი ჯავახის ოფისებში, გადმოცემით, ცეცხლსასროლ იარაღებს მიაკვლიეს. 15 აქტივისტი, მათ შორის, ჩახალიანი და ამ უკანასკნელისა და შირინიანის ოჯახის წევრები დააკავეს. შირინიანი გაიქცა და მის კვალს ვერ მიაკვლიეს. ერთიანმა ჯავახმა დაადანაშაულა სელისუფლების წარმომადგენლები პეტროსიანის სახლთან აფეთქების მოწყობასა და ორგანიზაციის ოფისებში იარაღების დამალვაში. ჩახალიანს ბრალი წაუყენეს იარაღის ტარებისთვის, 2006 წელს დემონსტრაციების დროს და ოქტომბრის არჩევნების შემდგომ პროვოკაციული ქმედებებისთვის, რომლებზეც ადრე ბრალდება მისთვის არ წაუყენებიათ. 2008 წლის დეკემბერში შირინიანს დაუსწრებლად მიუსაჯეს 17-წლიანი პატიმრობა მკვლელობისთვის, ხოლო მის მამასა და დეიდას - ორწლიანი ვადით პატიმრობა ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით.<sup>29</sup> საბოლოოდ, ჩახალიანი ბრალეულად ცნეს რამდენიმე ბრალდებით, მათ შორის 2006 წლის მოვლენებში მონაწილეობისთვის, და

<sup>28</sup> “ნაირ ირიწიანი ახალქალაქის რეგიონალური ადმინისტრაციის თავმჯდომარეა” ნოიან ტაპანი, Armenians today, 2008 წლის 8 მაისი, <http://www.armeniandiaspora.com/archive/136998.html>.

<sup>29</sup> “სომეხი აქტივისტები პოლიტიკური დევნის მსხვერპლი არიან ჯავახეთში” Hetq online (2009 წლის 12 იანვარი), <http://www.hetq.am/en/court/armenian-activists-in-javakh-subject-to-political-persecution/>; “ჯავახეთის დიდერი მართლმსაჯულების ძიებაშია”, <http://www.armenhes.blogspot.com/2009/03/leader-of-georgias-javakheti-region.html>.

მიუსაჯეს 10-წლიანი პატიმრობა, ხოლო მის მამასა და მცირებლოვან ძმას დაეკისრათ მძიმე ფულადი ჯარიმები იარაღის შეძენისა და ტარებისთვის.<sup>30</sup> თუ გავითვალისწინებოთ იმ გარემოებას, რომ ჩახალიანს ბრალდება დროულად არ წარუდგინეს აღნიშნულ დანაშაულებებში, მის მიმართ გამოყენებული ზომები შესაძლოა აიხსნას, ალბათ, მხოლოდ ხელისუფლების სურვილით დაშალოს მოძრაობა ერთიანი ჯაგახი.

ერთიანი ჯავახის მეორე ნაწილი ჩაერთო ადგილობრივ ხელისუფლებასთან ბრძოლაში ეკონომიკის მართვის სადაცების მოპოვებისთვის. ბევრი გავლენიანი ბიზნესმენი, რომელიც დახმარებას უწევდა ერთინი ჯავახის მოძრაობას, ჩართული არის პოლიტიკური ელიტის მიერ ტრადიციულად მონოპოლიზირებულ ბიზნეს საქმიანობაშიც, როგორიცაა მაგალითად ბენზინგასამართი სადგურების ბიზნესი. მათი ნაწილი სოფელ კუმურდოდან არიან წარმოშობით. ერთ-ერთმა ბიზნესმენმა, რომელიც ძირითადად რუსეთში საქმიანობს, ლიცენზიის საფუძველზე მოიპოვა საქართველოში ხის მოჭრისა და სომხეთში გაყიდვის უფლება, რომელიც მას შემდგომში ჩამოერთვა (საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი 2006). სოფელ კუმურდოს მოსახლეობაშ 2006 წლის არჩევნებში საბჭოს წევრად ერთიანი ჯავახის წარმომადგენელი აირჩია (იხ. ზემოთ). ბიზნეს ინტერესების გადანაწილებაზე 2009 წლის იანვარში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ერთი მხრივ, კუმურდოს ბიზნესმენის მომხრეები და, მეორე მხრივ, ენტელ მქონიანის თანამოაზრები. ჩხუბის შედეგად თავად მქონიანი დაშავდა, რის გამოც დაპკავეს ოთხი პიროვნება; თუმცა, ორი მათგანი მალევე გაათავისუფლეს ჯარიმის გადახდის შემდეგ.<sup>31</sup>

ახალქალაქის სომხური ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი, გრიგოლ  
მინასიანი, და შარლ აზნაურის საზოგადოების თავმჯდომარე, სარგის  
აკოფანიანიც, დაუპირისპირდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას. მოგვიანებით  
ერთი ინციდენტი მოხდა, რომელშიც ჩართული იყო ახალქალაქის

<sup>30</sup> “Հաօց իսեալունե մօյքաջա 10 Վլունե Յաթիմրողա”, Oratert (2009 Վլուն 9 աձրունո), <http://www.eng.oratert.com/Armenia-hotline/58.html>; Թռէշչյալուն 2009 Վլուն 28 օյնունե.

მოსახლეობის გამოკითხვის ჩასატარებლად ჩასული ბელორუსიული არასამთავრობო ორგანიზაციის, მოსახლეობისთვის იურიდიული დახმარების ასოციაცია (ALAP). კითხვარი შეიცავდა პროგრაციულ შეკითხვებს თურქი მესხების გადმოსახლებისა და სეპარატისტული მოძრაობების შესახებ. კვლევის ორგანიზატორები დაპირდნენ 800 აშშ დოლარის გადახდას თითოეულს, ვინც ჩატარებდა გამოკითხვას.<sup>32</sup> მინასიანი და აკოფანიანი აქტიურად ჩაებნენ კვლევის ორგანიზებაში. შედეგად აქტივისტები დააპატიმრეს შეთქმულების ბრალდებით 2009 წლის იანვარში, ხოლო მარტი გაათვისუფლეს, თუმცა გამოძიება აღნიშნულ საქმეზე არ შეწყვეტილა. სინამდვილეში, აღმოჩნდა, რომ ბელორუსიული ორგანიზაცია ALAP არ არსებობდა, არამედ ამ სახელით მოქმედებდა სხვა რომელიმე ორგანიზაცია. ერთადერთი ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია სახელწოდებით ALAP მოქმედებდა ბელორუსიაში 1990-იანი წლების ბოლოს, რომლის ლიდერები იდევნებოდნენ ალექსანდრ ლუკაშენკოს რეჟიმის მიერ, ხოლო ბელორუსიულმა სასამართლომ გააუქმა ორგანიზაცია ჯერ კიდევ 2003 წელში.<sup>33</sup> საქართველოს მთავრობის განცხადებით, ინციდენტი იყო რუსეთის სპეც-სამსახურების გეგმის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა ჯავახეთში სეპარატისტული განწყობის შექმნას 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის კვალდაკვალ. ბევრი ადგილობრივი გავლენიანი პირი ვარაუდობდა, რომ პროგრაცია მოწყობილი იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ პრო-რუსული აქტივისტების გამოსავლენად (იხ. ქვემოთ).

რაც შეეხება რეგიონის ბიზნეს-ელიტას, ემიგრირებულ ბიზნესმენთა დიდმა ნაწილმა დაიწყო კაპიტალის ინვესტიცია ჯავახეთში. მათ შორისაა არამ სანოსიანი, ნინოწმინდის რაიონის სოფელი სათხის მკვიდრი, რომელიც ამჟამად რუსეთში მოღვაწეობს. მან ააშენა წყლის გამყვანი არხი მშობლიურ სოფელში და შეუდგა ნინოწმინდის სამკერვალო ქარხნის აღდგენას (იხ. ზემოთ).<sup>34</sup>

<sup>32</sup> ავტორის ინტერვიუ.

<sup>33</sup> ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოება, ცენტურის აკრძალვა, ა.შ., ორგანიზაციები, <http://www.belarus-misc.org/bel-hrbl.htm>; მოლი კორსო და გაიანე აბრაკამიანი, “საქართველო: ეთნიკური სომხების რუსეთის მონაწილეობით შეთქმულების მოწყობის ბრალდებით დააპატიმრეს”, Eurasia insight, 2009 წლის 12 თებერვალი, <http://www.eurasianet.org/departments/insightb/articles/eav021209b.shtml>.

<sup>34</sup> ნოიან ტაპანი: Armenians today, 2007 წლის 4 მარტი,

როგორც ამბობენ, ბიზნესმენი ჩართულია ახალქალაქის ბუნებრივი აირით მომარაგების პროექტშიც.<sup>35</sup> მისი მმა, პაიპ სანოსიანი არის “ქართულ-სომხური კავშირის” პრეზიდენტისა და სომხეთის პარლამენტის წევრი. სანოსიანები მონაწილეობენ ჯავახეთის რეგიონის სხვა ბიზნესისა თუ ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებშიც, მათ შორის, ახალქალაქის ფქვილკომბინატისა და ყველის ქარხნისა და სხვა მცირე ბიზნესში. გადმოცემით, მათ კარგი ურთიერთობა აქვთ საქართველოს მთავრობასთან.

დღესდღეობით, ასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს ჯავახეთში, მხოლოდ ოცამდე მათგანი ახორციელებს პროექტებს. ჯავახეთის არასამთავრობო სექტორში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმი, რომელიც აერთიანებს 25 არასამთავრობო ორგანიზაციასა და 458 ინდივიდუალურ წევრს. ფორუმი დაარსდა 2004 წელს, უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) დახმარებით, ადგილობრივი მოსახლეობის საქართველოს მთავრობასთან კონატრუქციულ დიალოგში ჩართვის მიზნით. ფორუმმა ჩამოაყალიბა თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც რეგულარულად იკრიბებიან ადგილობრივი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად და ჩამოთვლილ სფეროებში მთავრობისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით: სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, ადამიანის უფლებების დაცვა, კულტურისა და ენის და ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები. ფორუმმა ადგილობრივი სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის სხვადასხვა ტრეინინგები ჩაატარე. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ფორუმი თანამშრომლობს უმცირესობათა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე პრეზიდენტის მრჩეველთან. კერძოდ, 2008 წლის ზაფხულში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ახალქალაქისა და ნინოწმინდის საავადმყოფოების სტატუსთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ახალქალაქისა და ნინოწმინდის საავადმყოფოები კვლავ მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან. ფორუმი მჭიდროდ თანამშრომლობს განათლებისა და მეცნიერების

<http://www.djavakhk.com/detail.php?r=0&id=5235&l=en>.

<sup>35</sup> ქრისტინე ადალარიანი, “ჯავახეთი საფრთხეშია: საქართველოს მთავრობის მახინაციები და სომხების აპათია”, hetq online (2009 წლის 6 აპრილი), <http://www.hetq.am/en/politics/javakhk-5/>.

სამინისტროსთან განათლების საკითხების მიმართებაში, კერძოდ, ქართულ ენაზე სწავლების თაობაზე. 2008 წლის დასასრულიდან ფორუმი დამოუკიდებლად განაგრძობს საქმიანობას და უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ 2009 წელს ფორუმისადმი გაწეული ფინანსური დახმარება მცირე გრანტების პროგრამით შემოიფარგლა. 2009 წლისათვის ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმი ითვლება ყველაზე ძლიერ და ეფექტურ არასამთავრობო ორგანიზაციად რეგიონში, რომელსაც ანგარიშს უწევს ხელისუფლებაც. მიუხედავად იმისა, რომ ცელკეული მაგალითები მიუთითებს ცენტრალური მთავრობასა და ფორუმს შორის თანამშრომლობაზე, შედარებით ძლევამოსილი ორგანიზაციის არსებობას, რომელიც მეტწილად სომხეთი წარმოშობის პირებით არის დაკომპლექტებული ხელისუფლების გარკვეულ ფენებში სეპარატისტული მოძრაობის აღზევების შიშს იწვევდა. ფორუმის თანათავმჯდომარის, ნაირი ირიციანის კეთილგანწყობა ერთიანი ჯავახის მიმართ ასევე ეჭვს ბადებდა ფორუმის რეალურ განზრახვებში. თუმცა, ირიციანის გამგებლად დანიშვნამ (იხ. ზემოთ) ხელი შეუწყო ხელისუფლებასა და რეგიონის სამოქალაქო სექტორს შორის ნდობის გამყარებას. რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში, ისევე როგორც არარსებული ბელორუსიული ორგანიზაციის (იხ. ზემოთ) ურთიერთობამ არასამთავრობო სექტორთან, მათ შორის, ფორუმის წევრებთან, კვლავ გამოიწვია ხელისუფლების კონტრ-დაზვერვის ძალების მხრიდან რეგიონის სამოქალაქო სექტორის მიმართ კონტროლის გაძლიერება.

## ქვემო ქართლი

ადგილობრივი გავლენიანი ჯგუფები უფრო მცირე რაოდენობით გვევლინებიან ქვემო ქართლში იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ხელისუფლება მეტადაა ჩართული რეგიონის ყოველდღიურ მართვაში, ხოლო უმცირესობის წარმომადგენლები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტაში. ქვემო ქართლის ადმინისტრაციის წევრები არიან, როგორც წესი, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ან სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის გამოცდილების მქონე პირები. მარნეულისა და დმანისის გამგებლები მიეკუთვნებიან პირველ კატეგორიას, ხოლო წალკისა და ბოლნისის გამგებლები – მეორეს. წალკის მოქმედი გამგებელი (2008 წლის

ივნისის მდგომარეობით) პოლიციის ყოფილი უფროსია.<sup>36</sup> ექსპერტთა აზრით, ის არის ყველაზე გავლენიანი პიროვნება მუნიციპალიტეტში.<sup>37</sup> თანამდებობის პირები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში არიან, ძირითადად, თბილისიდან ან რუსთავიდან.

ერთმანდატიანი პარლამენტის წევრები რეგიონში ცნობილი ბიზნესმენები არინ. ერთ-ერთი მათგანია კობა ნაკოფია, სს მადნეულის სამთო მრეწველობის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე. კიდევ ერთი გავლენიანი პირია პიროვნებაა დავით ბეჟუაშვილი, პარლამენტის წევრი 1999 წლიდან და საქაზის ყოფილი დირექტორი. მისი ძმა, გელა ბეჟუაშვილი არის საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი. ერთადერთი აზერბაიჯანელი, რომელიც არჩეულია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, არის დიდი ხნის პარლამენტის წევრი და შევარდნაძის ყოფილი თანამოაზრე, აზერ სულეიმანოვი, რომელიც დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობს რეგიონში. კიდევ ორი აზერბაიჯანელი, რამინ ბაირამოვი და ისვახან შამილოვი არჩეული არიან პარლამენტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპარტიო სიით. პირველმა მათგანმა დაიწყო თავისი კარიერა გარდაბნის არასამთავრობო სექტორში მუშაობით.

ადგილობრივი სომეხი, ჰაიკ მელტონიანი აირჩიეს პარლამენტის წევრად წალკის რაიონიდან პარტიის, “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს” სიით 2003 წლის არჩევნებში და იგი, ცხადია, სარგებლობდა წალკის რაიონის სომხური სოფლების მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით.<sup>38</sup> მელტონიანი ეწინააღმდეგებოდა 2002-2006 წლებში მიმდინარე აჭარისა და სვანეთის მკვიდრი ქართველების რაიონში გადმოსახლების პროცესს და ამით მოკვა ადგილობრივი სომხური და ბერძნული მოსახლეობის ხმები.<sup>39</sup> მისი

<sup>36</sup> “ქვემო ქართლის პოლიციის სტრუქტურული რეორგანიზაცია”, ქვემო ქართლის დამოუკიდებელი მედია (2008 წლის 23 იანვარი), <http://www.cida.ge/media/eng/reginfo.php?id=745>; “წალკის ახალი გუბერნატორი”, ქვემო ქართლის დამოუკიდებელი მედია (2008 წლის 11 ივნისი), <http://www.cida.ge/media/eng/reginfo.php?id=1758>.

<sup>37</sup> ავტორის ინტერვიუ, 2009 წლის 13 აპრილი.

<sup>38</sup> მართლია, პროპორციული სისტემით 150 წევრის ასარჩევად ხელმეორედ ჩატარდა არჩევნები 2004 წლის მარტში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, სამანდატო სისტემით არჩეული კანდიდატები დატოვეს 2004-2008 წლების პარლამენტში.

<sup>39</sup> ზაზა ბააზოვი, “ქართველთა გადასახლების გეგმა გახდა დამაბულობის მიზეზი”, Caucasus

კანდიდატურა წარადგინა ბლოკმა “ტრადიციონალისტები” – ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია”-მ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ არჩევნებამდე ათი დღით ადრე ტრადიციონალისტებმა მოხსნეს მისი კანდიდატურა.<sup>40</sup> შედეგად წალკის მუნიციპალიტეტის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მხოლოდ მესამედი გამოცხადდა საარჩევნო უბნებზე.<sup>41</sup> ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალი იყო ქვემო ქართლის სხვა რაიონებთან შედარებით, რაც შეიძლება გამოეწვია სამუშაო ასაკის სომხების მიგრაციას სეზონურ სამუშაოზე რუსეთში და იმ ფაქტს, რომ ბერძნები, რომლებიც უკვე აღარ ცხოვრობენ რაიონში, ისევ ირიცხებიან სარეგისტრაციო სიქმი. თუმცა, მელტონიანის მშობლიური სოფლის, ნარდევანის 1 500 მოსახლიდან მხოლოდ 269 მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სომხების დიდმა ნაწილმა შეგნებულად აარიდა თავი არჩევნებში მონაწილეობას.<sup>42</sup>

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, საზოგადოებრივ ორგანიზაცია, გეირათი, სარგებლობდა პოპულარობით მარნეულისა და ბოლნისის მოსახლეობაში. ორგანიზაცია დააფუძნა აზერბაიჯანულმა ინტელიგენციამ 1990 წელს აზერბაიჯანული მოსახლეობისადმი 1990-იანი წლებში აგრესიული პოლიტიკისგან დასაცავად. მოგვიანებით, ორგანიზაცია ცდილობდა აზერბაიჯანული საზოგადოებიში გაჩენილი დაპირისპირების აღმოფხვრას და ასრულებდა მედიატორის როლს ადგილობრივი საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთობაში. მოძრაობა 1990-იანი წლების ბოლოს თანდათანობით დაიშალა, ვინაიდან წევრთა უმრავლესობამ თანამდებობები დაიკავა სახელმწიფო სტრუქტურებში (უითლი 2005). გარდების რევოლუციის შემდეგ გეირათი თითქმის გაქრა სცენიდან. ცენტრალური ხელისუფლების რგოლებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა მოიპოვეს სრული მონოპოლია რეგიონში კონფლიქტური სიტუაციების რეგულირების პროცესზე და გეირათმა დაკარგა მთავარი

Reporting Service, №280, 2005 წლის 1 აპრილი, [www.iwpr.net](http://www.iwpr.net).

<sup>40</sup> ი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, <http://www.cec.gov.ge/?que=eng/press-center/press-releases&info=1264>. 2008 წლის არჩევნებში ერთ-მანდატიანი კანდიდატები უნდა დაესახელებინა პარტიას ან ბლოკს.

<sup>41</sup> “არჩევნებში გამარჯვებულები”, ქვემო ქართლის დამოუკიდებელი მედია, <http://www.cida.ge/media/eng/articles.php?id=32>.

<sup>42</sup> [http://e-vote-count.info/?lang=en&district\\_id=15&precinct\\_id=656](http://e-vote-count.info/?lang=en&district_id=15&precinct_id=656), ინფორმაცია მოპოვებულია 2009 წლის 4 აპრილს.

მედიატორის ფუნქცია.

გეირათის ლიდერების განცხადებით, ორგანიზაციის წევრები განიცდიდნენ ზეწოლას გამგეობისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, რათა მათ არ მიედოთ მონაწილეობა 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. დღესდღეობით, გეირათი არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციის სახით, რომლის საქმიანობა მიმართულია ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებების დასაცავად. მართალია, ორგანიზაცია დროდადრო მართავს საპროტესტო გამოსვლებს მთავრობის წინააღმდეგ, თანამშრომლობს გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებთან და მედია საშუალებებთან ბაქოში, მათი პოპულარობა სულ უფრო მცირდება (საერთაშორისოკრიზისის ჯგუფი 2006).

კიდევ ერთი აზერბაიჯანული ნაციონალისტური ორგანიზაცია ქვემო ქართლში საქართველოს არის აზერბაიჯანელთა ნაციონალური ასამბლეა, რომელიც 2001 წელს დაფუძნდა. ასამბლეა უფრო რადიკალური ორგანიზაციაა ვიდრე გეირათი. მისი ლიდერი, დაშგინ გულმამედოვი, მოითხოვდა საქართველოს კონფედერაციად გადაქცევასა და აზერბაიჯანულის სახელმწიფო ენად გამოცხადებას.<sup>43</sup> ბაქოში დაარსებულ და 14, 000 წევრისგან შემდგარ ორგანიზაციას ცუდი ურთიერთობა აქვს როგორც საქართველოს ისე აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან. მას შემდეგ, რაც გულმამედოვმა დაადანაშაულა ქართველი გინეკოლოგები აზერბაიჯანელი მშობიარე ქალების დაშავებაში, საქართველოს მთავრობამ ბრალი დასდო გულმამედოვს, რომ მისი ორგანიზაცია ფინანსდებოდა უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსის, პრო-რუსულად განწყობილი, იგორ გიორგაძის მიერ.<sup>44</sup> გულმამედოვი მოკლე ვადით დააპატიმრეს ეროვნული შუღლის გადვივების მცდელობის<sup>45</sup> ბრალდებით 2007 წლის ნოემბერში, ხოლო 2009 წლის მარტში, მას მიუსაჯეს ორწლიანი პატიმრობა თაღლითობისთვის აზერბაიჯანში.<sup>46</sup> ერთი სიტყვით,

<sup>43</sup> “ეთნიკური აზერბაიჯანელები მოითხოვენ საქართველოს პოლიტიკური სისტემის ცვლილებას”, Interfax (2009 წლის 28 იანვარი), <http://www.groong.network.mine.nu:8888/wmu/tag/ethnic/>.

<sup>44</sup> ახლი ამბები, 2006 წლის 26 აპრილი, <http://003eaa4.netsolhost.com/news.asp?news=8350>.

<sup>45</sup> “საქართველოს უშიშროების სამსახურმა დააპატიმრა აზერბაიჯანული დიასპორის ლიდერი”, Eurasian Security Services daily Review (2007 წლის 29 ნოემბერი), <http://www.axisglobe.com/article.asp?article=1440>.

<sup>46</sup> “დაშგილ გულმამედოვი დააპატიმრებულია თაღლითობისთვის”, Turan, (2009 წლის 11 მარტი), <http://dir.groups.yahoo.com/group/HR-Georgia-eng/message/916>; “საქართველოს აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას აზერბაიჯანული სეპარატიზმის მომხრე ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში, აქედან გამომდინარე, გულმამედოვის დაპატიმრება შეიძლება განვიხილოთ ორგორც ორივე მთავრობის შეთანხმებული მოქმედების შედეგი.

გულმამედოვის სახელს უკავშირდება ქვემო ქართლის ასევე გავლენიანი ფიგურა, ფაზილ ალიევი. მიუხედავად აზერბაიჯანული წარმოშობისა, იგი თავიდან იყო ნაციონალისტი ლიდერის, ზეიად გამსახურდიას მხარდამჭერი. გამსახურდიას მმართველობის დროს, ალიევი დაინიშნა გარდაბნის მერად მოკლე ვადით, შემდეგ კი გარდაბნის რაიონის პრეფექტის მოადგილედ. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში მან წამოიწყო ბუნებრივი აირის ბიზნესი, მაგრამ ზეწოლას განიცდიდა ქვემო ქართლის გუბერნატორის, ლევან მამალაძის მხრიდან, რომელმაც სურდა რეგიონის თითქმის ყველა საწარმოს ხელში ჩაგდება. ალიევის მტკიცებით, მას დევნიდნენ ადგილობრივი ორგანოები და რომ ნიღბიანი პირები თავს დაესხნენ სკოლას, რომელშიც მისი შვილები სწავლობდნენ. 2005 წლის ივნისში შეირადებული თავდასხმა მოხდა ალიევის სახლზე, რომელიც მისი განცხადებით, ხელისუფლების დაკვეთა იყო. ამ ინციდენტის შემდეგ, ალიევმა თავი შეაფარა აზერბაიჯანს.<sup>47</sup> 2007 წლის ნოემბერში, როდესაც ასამბლეამ წარადგინა ალიევის კანდიდატურა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ის დაბრუნდა საქართველოში და დანიშნა გულმამედოვი საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელად. თუმცა, ალიევი იძულებული გახდა უარი ეთქვა არჩევნებში მონაწილეობაზე გულმამედოვის დაპატიმრების შემდეგ. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ალიევის კანდიდატურა წამოაყენა ქრისტიან-დემოკრატიულმა ალიანსმა, თუმცა კანდიდატმა მოიპოვა მხოლოდ ხმათა 2%.

<sup>47</sup> პროტესტს აცხადებენ”, Today.Az. (2009 წლის 15 მაისი),

<http://www.today.az/news/politics/52331.html>; “საქართველოს აზერბაიჯანელთა ნაციონალური

ასამბლეის მეთაური დაპატიმრებულია ბაქოში” (2009 წლის 11 მარტი),

<http://www.today.az/print/news/society/51003.html>.

<sup>47</sup> ფ. თემურსანლი, “სააკაშვილმა მეტი პრობლემები შეუქმნა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს”, გაზეთი ზერკალო (აზერბაიჯანი), 2005 წლის 10 ოქტომბერი, <http://www.armeniandidiaspora.com/forum/showthread.php?t=39332>; “საქართველოს პრეზიდენტები: ფაზილ ალიევის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება”, News Bakililar.az., [http://news.bakililar.az/news\\_kandidat\\_v\\_presidenty\\_11310.html](http://news.bakililar.az/news_kandidat_v_presidenty_11310.html).

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა ინტერესების დასაცავად 2008 წლის მარტში დაფუძნდა ახალი გაერთიანება სახელმოდებით საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესი, რომელიც აერთიანებს 12-ზე მეტ საქართველოში მოქმედ აზერბაიჯანულ ორგანიზაციას.<sup>48</sup> კონგრესი უარყოფს, რომ ორგანიზაცია არის პოლიტიკური გაერთიანება და აცხადებს, რომ მათი მიზანია ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებების დაცვა და მათი დახმარება ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში.<sup>49</sup> კონგრესის თავმჯდომარე და თანა-დამფუძნებელი, ალი ბაბაევი, აკრიტიკებდა საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას აზერბაიჯანული უმცირეოსობის მიმართ, როგორც მეორე-ხარისხოვანი მოქალაქეებისადმი, და ფაზილ ალიევის მსგავსად, ისიც იღებდა მონაწილეობას 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის სახელით, თუმცა, შეძლო მხოლოდ ხმების 4%-ის მოგროვება. ბოლო ხანებში, კონგრესი გამოდიოდა მარნეულში სადახლოს ბაზრის აღდგენის მოთხოვნით. 2005 წელს ხელისუფლებამ დახურა ბაზარი, რომელიც სომხეთისა და აზერბაიჯანის საღვართან იყო განლაგებული, კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით (იხ. ქვემოთ).<sup>50</sup> გარდა ამისა, კონგრესმა მიიღო მონაწილეობა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის შესრულების თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაციების ალტერნატიული ანგარიშის მომზადებაში ქვემო ქართლის რეგიონში. მიუხედავად ორგანიზაციის ზომიერი ოპოზიციური შეხედულებებისა, ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ეჭვის თავლით უყურებს მის საქმიანობას. ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციამდე 2008 წლის მარტში, ხელისუფლებამ არაფორმალურად ზეწოლა მოახდინა მთელ

<sup>48</sup> იხ. “ტოლერანტობა”, ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოებრივი ასოციაცია, “საქართველოს მიერ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაცია ქვემო ქართლში (საქართველო): არასამთავრობო ორგანიზაციის ალტერნატიული ანგარიში” (თბილისი 2008),

[http://www.minelres.lv/reports/georgia/Shadow\\_Report\\_Georgia\\_2008.pdf](http://www.minelres.lv/reports/georgia/Shadow_Report_Georgia_2008.pdf); “საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესი”-ს სადამფუძნებლო შეხედრა 17 მარტი”, Trend News (2008 წლის 15 მარტი), <http://news-en.trend.az/society/diaspora/1157388.html>.

<sup>49</sup> რადიო თავისუფლება, კავკასიის ანგარიში, საქართველოს აზერბაიჯანულ უმცირესობას ეპირობიან როგორც მეორე-ხარისხოვან მოქალაქეებს, (2009 წლის 4 მარტი), [http://www.rferl.org/content/Georgias\\_Azeri\\_Minority\\_Treated\\_As\\_SecondClass\\_Citizens/1621243.html](http://www.rferl.org/content/Georgias_Azeri_Minority_Treated_As_SecondClass_Citizens/1621243.html).

<sup>50</sup> “აზერბაიჯანელთა კონგრესი თხოვს საქართველოს პრეზიდენტს სადახლოს ბაზრის აღდგენას”, თურქული ყოველკვირეული, 2009 წლის 22 აპრილი, <http://www.turkishweekly.net/news/73615.-congress-of-georgia-s-azerbaijanis-applies-georgian-president-to-restore-sadakhlo-fair.html>.

რიგ დამფუძნებელ თრგანიზაციებზე, რომ არ დასწრებოდნენ შეხვედრას.<sup>51</sup>

რაც შეეხება არასამთავრობო თრგანიზაციებს, კიდევ ერთი გავლენიანი ორგანიზაციაა წალკის სამოქალაქო ფორუმი, რომელიც დაფუძნდა 2005 წელს უმცირესობის საკითხთა ეფროპული ცენტრის მხარდაჭერით, წალკის მოსახლეობასა და ცენტრალური ხელისუფლებას შორის დიალოგის ხელშესაწყობად. უკვე 2009 წელს ფორუმი აერთიანებს 7 არასამთავრობო ორგანიზაციას და 120 ინდივიდუალურ წევრს. ფორუმი ახორციელებს მცირე გრანტის პროექტებს; მის რესურსცენტრთან ასევე გახსნილია კომპიუტერის შესწავლის კურსები. ფორუმი მართავს შეხვედრებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მჭიდროდ თანამშრომლობს ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმთან და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან მრავალენოვანი განათლების საკითხებთან მიმართებაში.

სოფლებში გავლენიან პირებს რაც შეეხება, აღსანიშნავია, ქვემო ქართლის სოფლებში მცხოვრები უხუცესები, რომლებიც ტრადიციულად სარგებლობდნენ ავტორიტეტით აზერბაიჯანულ მოსახლეობაში და არაერთხელ შეუწყვეს ხელი დაპირისპირების აღმოფხვრას სოფლებს შორის და სოფლებში. აკსაკალების სახელით (“თეთრი წვერი”) ცნობილი ეს პირები მიეკუთვნებოდნენ სოფლის ინტელიგენციას და ხშირად მუშაობდნენ სკოლის დირექტორებად ან უბრალოდ კარგად იცნობდნენ ისლამური ქცევის კოდექსს, ადათს (უითლი 2005). გეირათის ზოგიერთი წევრები აკსაკალები იყვნენ. ბოლო ხანებში, აკსაკალების როლი შესუსტდა, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას სამართალდამცავი ორგანოების ახორციელებენ. ზოგიერთი ანგარიშის მიხედვით, აკსაკალები მონაწილეობდნენ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პრიორიტეტული პროექტების გამოვლენაში. მათი ინიციატივით, 16 საზოგადოებრივი შეკრების ადგილი აშენდა მარნეულის რაიონის სოფლებში ამ პროგრამის ფარგლებში.<sup>52</sup>

<sup>51</sup> ტოლერანტობა, “საქართველოს მიერ ჩარჩო კონგენციის იმპლემენტაცია. . .”.

<sup>52</sup> “სოფლის მხარდაჭერის პროგრამა”, ქვემო ქართლის დამოუკიდებელი მედია, <http://www.cida.ge/media/eng/articles.php?id=77>.

ჯავახეთის მსგავსად ქვემო ქართლის უმცირესობებით დასახლებულ რაიონებშიც, ოპოზიციური პარტიები პოპულარობით არ სარგებლობენ. უმცირესობის საკითხთა ეპროპული ცენტრის მიერ 2008 წლის მაისში ჩატარებული კვლევის მიგნებების თანახმად, გარდაბნის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტების არაქართული მოსახლეობა (ძირითადად აზერბაიჯანელები) უფრო ნაკლებადაა ინფორმირებული პარტიული სისტემის შესახებ ვიდრე ჯავახეთის უმცირესობათა ჯგუფები. რესპონდენტებმა საშუალოდ 1.38 პარტია დაასახელეს არჩევნებში მონაწილე 12 პარტიიდან და ბლოკიდან, ხოლო პარტიების სიის გაცნობის შემდეგ, საშუალოდ – 2.05. მაშინ როცა, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ქართულმა მოსახლეობა იცნობდა საშუალოდ 6.67 პარტიასა და ბლოკს და ჯავახეთის არაქართული მოსახლეობა (ძირითადად, სომხეურმა) – 2.83-ს.<sup>53</sup> ქვემო ქართლის უმცირესობათა დიდი ნაწილი იცნობს მხოლოდ მმართველ პარტიას, ერთიანი ნაციონალური მოძრაობას. საკვირველი არც უნდა იყოს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ დიდი უპირატესობით მოიგო არჩევნები ქვემო ქართლში.

## 5. მიგრაცია და სეზონური შრომა

უკანასკნელი ოცი წლის განმანვლობაში საქართველოში მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ცვლილებებს ქონდა ადგილი, რასაც შედეგად მოყვა მოსახლეობის დიდი ნაწილის ქვეყნიდან გადინება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დატოვეს როგორც ეთნიკურმა ქართველებმა ისე ეროვნულმა უმცირესობებმა, ამ უკანასკნელთა ხვედრითი წილი ემიგრანტებს შორის უფრო მაღალი იყო. 1989 წლისა და 2002 წლის მოსახლეობის აღწერისა და ქვეყნის იმ რეგიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შედარება, სადაც ორივე აღწერა ჩატარდა (გარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტური ზონებისა, სადაც 2002 წელს მოსახლეობის აღწერის ჩატარება ვერ მომხერხდა) მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული უმცირესობების პროცენტული რაოდენობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 26.4%-დან

<sup>53</sup> ეს მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 0.001 დონეზე, ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ლევინის ტესტი თანასწორობის ვარიაციათა და ტესტი საშუალებების თანასწორობის შესახებ.

16.2%-მდე დაეცა. ამგვარი ცვლილებები მეტწილად ეთნიკური რუსების (6.3%-დან 1.5%-მდე), სომხებისა (7.5%-დან 5.7%-მდე) და ბერძნების (1.8%-დან 0.3%-მდე) ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში ხვედრითი წილის შემცირებით იყო განპირობებული. აღნიშნულმა დემოგრაფიულმა ცვლილებებმა შედარებით ნაკლები გავლენა იქონია ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებზე გარდა შემდეგი ცალკეული რაიონებისა: წალკის რაიონში ეთნიკური ბერძნების რიცხვი 1989 წელს 61.0%-დან 2002 წელს 22.0%-მდე შემცირდა (დღეისათვის კი დაახლოებით 5%-ს შეადგენს); ახალციხის რაიონში ეთნიკური სომები მოსახლეობის ხვედრითი წილი 1989 წელს 42.8%-დან 2002 წელს 36.6%-მდე დაეცა; ხოლო ნინოწმინდის რაიონში ეთნიკური რუსების პროცენტული რაოდენობა 1989 წელს 8.3%-დან 2002 წელს 2.7%-მდე შემცირდა (დღეს მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია). აღნიშნული დემოგრაფიული ცვლილებებიდან, წინამდებარე მოსხენებაში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია წალკის რაიონიდან ბერძნებისა და ნინოწმინდის რაიონიდან დუხობორების ემიგრაციაზე. თუმცა, განხილულია ასევე მიგრაციის დამატებით ორი ტენდენცია, რომელთაც უკანასკნელ წლებში ეროვნული უმცირესობების ცხოვრებაზე იქონიეს გავლენა, კერძოდ, წალკიდან და ჯავახეთის რაიონებიდან ეთნიკური სომხების რუსეთის ფედერაციაში ზაფხულობით სეზონური დასაქმების მიზნით მიგრაცია და ასევე აჭარისა და სვანეთის მაღალმთიანი რეგიონებიდან ქართველების გადასახლება ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით წალკის რაიონში.

**წალკა:** ბერძნების მასობრივი ემიგრაცია და ეკოლოგიური და ეკონომიკური ძიგრანტების ჩამოსახლება

საბჭოთა კავშირის დაშლასა და 1990-იან წლებში საქართველოში არსებული პოლიტიკური დაძაბულობას შედეგად წალკის რაიონის ბერძნული მოსახლების საბერძნეთში ემიგრაცია მოყვა. ქართველ ბერძნებს საბერძნეთში მოხვედრა შედარებით უადვილდებოდათ, ვინაიდან საბერძნეთის საიმიგრაციო კანონმდებლობა უფექტიანად არ ხორციელდება და, გარდა ამისა, ბერძნული წარმოშობის პირების იმიგრაციისათვის ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი. წალკის რაიონის გამგებლის მიერ მოწოდებული არაოფიციალური მონაცემების თანახმად, 2006 წლისათვის ეთნიკური ბერძნების რიცხვი დღეისათვის

დაახლოებით 1,500 უტოლდება, მაშინ როცა მათი რაოდენობა 1989 წელს 27,000 კაცს შეადგენდა, ხოლო 2002 წელს – 4,600 კაცს. ადგილობრივი ექიმების გამოთვლების თანახმად, 2009 წლისათვის წალკის რაონში ბერძნული წარმოშობის მოსახლეობა 1,000 კაცს არ აღემატება, რომელთა უმრავლესობაც ხანში შესულია.

ბერძნი მოსახლების ემიგრაციის პარალელურად მიმდინარეობდა წალკის რაიონში საქართველოს სხვა მხარეებიდან მოსახლეობის ჩამოსახლების პროცესი. წალკის რაიონის გამგეობის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, 2006 წლისათვის რაიონში დაახლოებით 6,500 ქართველი მიგრანტი დასახლდა. აღნიშნული მიგრანტების უმრავლესობა (დაახლოებით 70%) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მეტწილად კი ხულოს რაიონიდან გადმოსახლდა, რომელიც ხშირი მეწყერებითა და ზოგადად მიწის სიმცირით გამოირჩევა. მიგრანტთა ნაწილი წარმოშობით ასევე ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე მაღალმთიანი სვანეთის რეგიონიდან იყო, სადაც ზვავები იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს. მიგრაცია ფართო მასშტაბით აჭარიდან და სვანეთიდან 1998 წელს დაიწყო და განსაკუთრებით 2002 წელს შეინიშნებოდა მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძის მთავრობა არ უწყობდა ხელს ამ პროცესს და ვერც ახერხებდა შიდა მიგრაციის რეგულირებას ან თუნდაც აღრიცხვას. 2002 წელს დაწყებული მიგრაციის ახალი ტალღა სრულიად მოულოდნელი იყო, ვინაღიან წალკაში უკვე დასახლებულმა ოჯახებმა თავიანთი ნათესავების გადმოსახლებას შეუწყვეს ხელი. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადების მშენებლობით იყო განპირობებული, რომელიც წალკაშიც გადიოდა და ახალმოსულთა დიდი ნაწილის დასაქმების შესაძლებლობას ქმნიდა. 2004 წლამდე ამ შიდა მიგრაციის პროცესის რეგულირება საერთოდ ვერ ხერხდებოდა. ახალმოსულთა უმრავლესობა ადგილობრივ საკრებულოში დარეგისტრირებულიც არ იყო და მათი სახელები ადგილობრივ აღწერებში არ აისახა (უითლი 2006). 2005-2006 წლების მანძილზე მთავრობა შეეცადა დარეგულირებინა მიგრაციის პროცესი. გარდა ამისა, 2006 წელს ეკონომიკურმა მიგრაციამაც იკლო, ვინაიდან ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები დასასრულს უახლოვდებოდა. 2006 წლის შემდეგ მთავრობამ გადმოსახლების ნება დართო მიგრანტების მცირე ჯგუფს, რომლებიც

მეტწილად მეწყერებით დაზარალებული აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან იყვნენ. თუმცა, ეს პროცესი გაცილებით უფრო ეფექტიანად იმართებოდა და ამჯერად გადმოსახლებულთა უმრავლესობას ეკოლოგიური და არა ეკონომიკური მიგრანტები შეადგენდა.

წალკაში მიგრაციამ ვითარების დესტაბილიზაცია გამოიწვია, რადგან რაიონის მოსახლეობის ორ მირითად ჯგუფს ძალიან უჭირდა თანაარსებობა. ერთი მხრივ იყო ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა უმრავლესობასაც ეთნიკური სომხერი შეადგენდნენ, ასევე მცირე რაოდებით დარჩენილი ბერძნები და აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობის რამდენიმე დასახლება, რომელთაც დანარჩენ მოსახლეობასთან ძალიან შეზღუდული კონტაქტი ქონდათ. მეორე მხრივ, იყო ახალჩამოსახლებული ქართველების დიდ ჯგუფი, რომელიც მეტწილად სოფლის მოსახლეობას წარმოადგენდნენ და შესაბამისად არ ფლობდნენ რუსულს, რომელიც ინტერ-ეთნიკური კომუნიკაციის მთავარი ენა იყო. გასაკვირი არ არის, რომ კომუნიკაციის ბარიერმა და სახელმწიფოს მიერ მიგრაციის პროცესის დარეგულირების უუნარობამ, დაძაბულობა გამოიწვია წალკის რაიონში, რასაც ასევე ამწვავებდა მიწის სიმცირე და ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებისას უპირატესობა ახალმოსულებს ენიჭებოდა. მას შემდეგ რაც ადგილი ქონდა რამდენიმე შეტაკებას ადგილობრივ მოსახლეობასა და ახალმოსულებს შორის, რამაც პიკს 2005 წლის დასაწყისში მიაღწია, რაიონში წესრიგის აღსადგენად საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ჩაერიგნენ (უითლი 2006). ვითარება შედარებით განიმუხტა მიგრაციის შემცირებისა და სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის შედეგად.

### *სეზონური მიგრაცია*

რუსეთის ფედერაციაში სეზონურ მიგრაციას მეტწილად ადგილი აქვს ჯავახეთისა და წალკის სომხურ მოსახლეობას შორის. ამ ეთნიკური ჯგუფის სამუშაო ასაქის მამაკაცთა დიდი ნაწილი ყოველ წელს რუსეთში მიემგზავრება (როგორც წესი გაზაფხულის დასაწყისში) დროებითი სამუშაოს საძევნებლად (მეტწილად სამშენებლო სექტორში). ეს პროცესი გრძელდება

ბოლო პერიოდში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობის გაუარესების მიუხედავად, ვინაიდან შრომითი მიგრანტების უმრავლესობამ სომხეთის ან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მოპოვება შეძლო. სომხეთის მოქალაქეებს რუსეთში ჩასვლა შედარებით უადვილდებათ, მაშინ როცა საქართველოს მოქალაქეები საგრძნობ წინააღმდეგობებს აწყდებიან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ორმაგ მოქალაქეობას და ის პირი, ვინც სხვა ქვეყნის მოქალაქეობას იდებს, ავტომატურად კარგავს საქართველოს მოქალაქეობას. თუმცა, ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ ჯავახეთსა და წალკაში მცხოვრებ სომებთა უმრავლესობა არ არის ინფორმირებული.

არსებული მონაცემების თანახმად, ჯავახეთის დაახლოებით ორ ან სამ ათას მოსახლეს სავარაუდოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა აქვს, რომელთა უმრავლესობამაც რუსული პასპორტები მაშინ შეიძინა, როცა ახალქალაქში რუსეთის ფედერაციის 62-ე სამხედრო ბაზა იყო განთავსებული (2007 წელს ბაზის გაყვანამდე). ბაზაზე დასაქმებული მთელი სამხედრო პერსონალი (რომელთაგანაც დაახლოებით ათასს ადგილობრივი სომხები შეადგენდნენ) ვალდებული იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა მიეღო. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში და მას შემდეგაც ახალქალაქში შესაძლებელი იყო რუსული (ასევე სომხური) პასპორტების შეძენა მათვის, ვისაც რუსეთში სამუშაოდ გამგზავრება სურდათ. გარდა ამისა, მოსახლეობის ნაწილი ერევანშიც მიემგზავრება რუსეთის ფედერაციის პასპორტის მოსაპოვებლად. რუსეთის მოქალაქეობის მქონე სომხური წარმოშობის პირთა რაოდენობის ზრდამ საქართველოს ხელისუფლების უურადღება მიიპყრო, რომელიც შიშობს, რომ რუსეთმა შესაძლოა ეს გარემოება ჯავახეთში ინტერვენციის მიზნით გამოიყენოს, ვინაიდან სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში ჩარევა რუსულმა მხარემ სწორედ ამ მიზეზით გაამართლა.<sup>54</sup> 2007 წლის ობერვალიდან, როდესაც სომხეთმა ახალი კანონი მიიღო, რომელიც ითვალისწინებს სომხური წარმოშობის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების უფლებას, სომხური პასპორტების მოპოვების მსურველთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. რაც ასევე განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ

<sup>54</sup> 2002 წლის შემდეგ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრებთა უმრავლესობას რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა მიენიჭა.

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მიღება ძალზე გართულდა. 2009 წლის პირველი რამდენიმე თვის მანძილზე სომხურ პასპორტებზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა სეზონურ სამუშაოზე რუსეთში გამგზავრებას გეგმავდა. ერთ-ერთი წყაროს თანახმად, 2009 წლის დასაწყისში ჯავახეთის 1,500-მა მცხოვრებმა მოიპოვა სომხეთის მოქალაქეობა.<sup>55</sup> გარდა ამისა, ადგილობრივი ახალგაზრდობის ნაწილმა სომხეთის მოქალაქეობა ერევანში სამუშაოდ ან სწავლის გაგრძელების მიზნით მიიღო.

ზუსტი მონაცემების არარსებობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე სეზონური მიგრანტების რიცხვმა იკლო. აღნიშნული გარემოება გარკვეულწილად განპირობებულია ბიუროკრატიული ბარიერების გამო, ასევე რუსეთში კავკასიის სახელმწიფოებიდან ჩასული მიგრანტებისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის ხშირი შემთხვევებისა და ნაწილობრივ ჯავახეთის ზოგიერთ დასახლებაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გამო (იხ. ზემოთ), რამაც შესაძლოა ცალკეულ პირებს საქართველოში დარჩენაში ხელი შეუწყო. მაგალითად, სოფელი კარტიკამიდან, რომელიც ახალქალაქიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული, დღეისათვის თითქმის არავინ მიემგზავრება რუსეთის ფედერაციაში სეზონურ სამუშაოზე, რაც საკმაოდ მიღებული იყო რამდენიმე წლის წინათ. თუმცა, უფრო შორეული სოფლებიდან სეზონურ მიგრაციას დღესდღეობითაც აქვს ადგილი.

### *დუხობორების გადასახლება*

რუსეთის რელიგიური უმცირესობა, დუხობორები, 1830-იან და 1840-იან წლებში რუსეთის იმპერიის პერიფერიაში იქნა იძულებით გადასახლებული სამხედრო სამსახურის ან გადასახადების გადახდაზე უარის თქმის გამო. მათ დღევანდელ ნინოწმინდის რაიონში (რომელსაც წინათ ბოგდანოვების უწოდებდნენ) შემდეგი რვა დასახლება დააარსეს: ქალაქი ბოგდანოვკა (თანამედროვე ნინოწმინდა)

<sup>55</sup> ავტორის ინტერვიუ.

და სოფლები გორელოვება, ტამბოვება, ორლოვება, სპასოვება, ტროიცებოვი იგივე კალინინო (თანამედროვე სამება), ეფრემოვება და როდიონოვება. 1989 წელს ნინოწმინდის რაიონში 3,161 დუხობორი იყო დარჩენილი. თუმცა, 1990-იანი წლების მანძილზე მათი უმრავლესობა რუსეთში გადასახლდა, რაც მეტწილად განპირობებული იყო ზეიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში (1990-1991 წლებში) ქვეყანაში გაბატონებული ეთნიკური შოვინიზმისა და შედეგად შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო (ამ პერიოდში რეგიონს სომხური პარამილიტარისტული ორგანიზაცია, ჯავახი, აკონტროლებდა. იხ. ზემოთ). დუხობორების რუსეთის ფედერაციაში გადასახლებას ასევე ხელ უწყობდა რამდენიმე რუსული პატრიოტული ორგანიზაცია. შედეგად, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, მხოლოდ 943 დუხობორი ცხოვრობდა რაიონში, ძირითადად სოფელ გორელოვებასა და ორლოვებაში. ზოგიერთ სოფლებში, მაგ.: სპასოვებაში, დუხობორები აჭარიდან გადმოსახლებულმა ეკოლოგიურმა მიგრანტებმა (ეთნიკურმა ქართველებმა) ჩაანაცვლეს, ხოლო სხვა სოფლებში ჩასახლებულმა ქართველებმა მალევე დატოვეს ახალი საცხოვრებელი (ლომი 2006).

დუხობორების ემიგრაცია ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულშიც გაგრძელდა და წინამდებარე მოხსენების წერისას (2009 წლის შუა თვეებში) დუხობორების უკანაკსნელი ოჯახების ნაწილიც ემზადებოდა საქართველოს დასატოვებლად. რის გადამწყვეტ მიზეზსაც 2005-2006 წლებში დუხობორებზე რაიონის ადგილობრივი მთავრობის მიერ მათ მიწებზე კონტროლის მოპოვების მიზნით განხორციელებული ზეწოლა წარმოადგენს (იხ. მომდევნო ქვეთავი). დუხობორების საკუთრებაზე 2006 წლის მიწურულს განხორციელებული ვანდალიზმის რამდენიმე ფაქტის შემდეგ, დუხობორების თემმა რუსეთში საბოლოოდ გადასახლებლა გადაწყვიტა. 2007 წელს დაახლოებით ორმოცდაათი ოჯახი რუსეთში ტამბოვის მხარის ბონდარსკის რაიონში გადასახლდა. ასევე გადაწყდა, რომ დარჩენილი ოჯახები 2008 წელს გადავიდოდნენ რუსეთში საცხოვრებლად. თუმცა, რუსეთსა და საქართველოს შორის გაჩადებულმა ომმა დუხობორების გეგმებს ხელი შეუშალა, ვინაიდან გაურკვეველი იყო რამდენად ადგილად შეძლებენ დუხობორები, რომლებიც მეტწილად საქართველოს მოქალაქეები არიან, რუსეთის ფედერაციის ვიზების მიღებას. დუხობორების თემის ლიდერის თანახმად, 2009 წლის შუა პერიოდში

გორელოვგაში დუხობორების 58 ოჯახი იყო დარჩენილი, რაც დაახლოებით 200 ადამიანს შეადგენს.<sup>56</sup>

დუხობორების გადასახლებამ ქართველებსა და სომხებს შორის დაპირისპირება გამოიწვია იმის თაობაზე, თუ ვის ქონდა უფლება ემიგრანტთა მიერ მიტოვებული სახლების დაკავებისა. ადგილობრივმა სომებმა მოსახლეობამ უმაღლ დაიწყო მიტოვებულ სახლებში შესახლება და არსებული საერთო მიწების განაწილება და არსებული ინფორმაციით ამ პროცესს კოორდინირებას უწევდა გორელოვგას თემის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარისა და ნინოწმინდის რაიონის საარჩევნო კომისიის ამჟამინდელი თავმჯდომარის ოჯახი. არსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო იძენდა დუხობორების სახლებს, რომლებიც სომხური მოსახლეობის შეხედულებისამებრ ეკონომიკური მიგრანტების (ეთნიკური ქართველების) რაიონში ჩასასახლებლად იქნებოდა გამოყენებული. ერთ-ერთი წყაროს თანახმად, სამინისტრო იმ სახლებს ყიდულობდა, რომლებიც ნაციონალისტურმა ორგანიზაციამ, მერაბ კოსტავას ფონდმა, ეკო-მიგრანტებისათვის შეიძინა დუხობორების 1990-იანი წლების დასაწყისში გადასახლების შედეგად. ამ სახლების დიდ ნაწილში არაფორმალურად ადგილობრივი სომხური მოსახლეობა იყო შესახლებული მას შემდეგ, რაც ქართველმა მიგრანტება რაიონში გადმოსახლებაზე უარი განაცხადეს ან გადმოსახლებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ დატოვეს ახალი საცხოვრებელი.<sup>57</sup> დუხობორების გადასახლების შემდეგ ნინოწმინდის რაიონში გავრცელებულმა განსხვავებულმა შეხედულებებმა მათ სახლებსა და მიწაზე საკუთრების უფლების საკითხი გაურკვეველი დატოვა. 2009 წლისათვის, ადგილობრივი მონაცემების თანახმად, აჭარიდან 35 ქართული ოჯახი გადმოსახლდა გორელოვგაში, რაც დაახლოებით 120-140 ადამიანს შეადგენს.<sup>58</sup>

<sup>56</sup> ECMI-ის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ინტერვიუები.

<sup>57</sup> 1989-1991 წლებში კოსტავას ფონდმა 258 სახლი შეიძინა ეკო-მიგრანტებისათვის და სხვა გაჭირვებული ოჯახებისათვის, რომელთაგაც 217 სახლი ნინოწმინდის რაიონში მცხოვრები დუხობორების ყოფილ საკუთრებას წარმოადგნედა. კერძოდ, 14 სახლი ფონდმა ქალაქ ნინოწმინდაში შეიძინა, 31 – სოფელ სასოვებაში, 36 – სოფელ ეფრემოვაში, 20- სოფელ ორლოვგაში, 47 სოფელ გორელოვგასა და 69 სოფელ სამებაში. თუმცა, აღნიშნული 217 სახლიდან, მხოლოდ 68 გადაეცა ახალ მესაკუთრებებს, დანარჩენები დღეს ან ცარიელია ან მათში ადგილობრივი სომხები ოჯახებია შესახლებული (ტრიერი და ტურაშვილი 2007).

<sup>58</sup> ECMI-ის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ინტერვიუები.

## 6. მიწების განაწილება

სამი გარემოება შეიძლება გამხდარიყო ეთნიკური დაძაბულობის მიზეზი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ბოლო 10-15 წლის მანძილზე; ესენია: 1) მიწების ნაკლებობა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში; 2) ადრე ბერძნული მოსახლეობის კუთვნილი მიწების ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მიგრანტებს (მეტწილად ქართველებს) შორის განაწილება წალკის რაიონში; 3) ხელახალი გადანაწილება იმ მიწებისა, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რუსი დუხობორების თემს ეკუთვნოდა.

### *მიწების განაწილება მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში*

საქართველოს მთავრობის 1992 წლის დადგენილების თანახმად, აკრძალული იყო მიწების პრივატიზაცია სახლემწიფო საზღვრიდან 21 კმ-ის ფარგლებში. იმავე დადგენილებით კერძო მესაკუთრეებს გადაეცა ყოფილი კოლმეურნეობების მიწებიც, რამაც საფუძველი ჩაუყარა პრივატიზაციის პროცესს, რომელიც 1996 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს კანონის მიღებით დაიწყო. 21 კმ-იანი შეზღუდვა საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა ჯერ კიდევ 1994 წელს მიღებული დადგენილებით დააუქმა, თუმცა სახემწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს კანონმა (1998) 500 მეტრიანი სასაზღვრო ზოლი და 5 კმ-იანი სასაზღვრო ზონა განსაზღვრა, რომლებშიც მიწის პრივატიზაცია შეზღუდული იყო. 21 კმ-იანი შეზღუდვის გაუქმებისას ამ ზონაში განლაგებული მიწის ნაკვეთების უმრავლესობა სახელმწიფოს მიერ უკვე გაცემული იყო იჯარით მეტად საეჭვო ვითარებაში. შედეგად, მათ, ვისზეც ამ კანონმა იქონია გავლენა, არ ქონდათ შესაძლებლობა აღნიშნული მიწის ნაკვეთების დაბრუნებისა, სანაცვლოდ მათთვის გადაცემული მიწები საკარმიდამო ნაკვეთებს არ აღემატებოდა (საშუალოდ 0.15-0.25 ჰა). მეორე მხრივ, საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობამ 1.25 ჰა-მდე მიწა მიიღო ყოფილი კოლმეურნეობების საკუთრების გადანაწილების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ 21 კმ-იანი შეზღუდვა

საქართველოს სასაზღვრო ზონაში მცხოვრებ მთელ მოსახლეობას ეხებოდა, რეალურად გავლენა კანონის ეს დებულება შერჩევით იქნა გამოყენებული და ძირითადად ქვემო ქართლის მოსახლეობაზე იქონია გავლენა. შედეგად დაზარალდნენ მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები, ხოლო მოგებული დარჩა ადგილობრივი გავლენიანი პირები და მდიდარი ბიზნესმენები თბილისიდან, რომელთა უმრავლესობაც ქართველები იყვნენ. ცალკეულ შემთხვევებში მოგების მიღების მიზნით ეს პირები ქვე-იჯარით გასცემდნენ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს ადგილობრივ მოსახლეობაზე.<sup>59</sup> ამ გარემოებამ ადგილობრივი აზერბაიჯანელების უკმაყოფილება გამოიწვია, რის შედეგადაც მიწის განაწილების ნიადაგზე წარმოქმნილი დაძაბულობა ცალკეულ შემთხვევებში კონფლიკტურ სიტუაციებში გადაიზარდა. სოფელ ყულარის (მარნეულის რაიონი) მოსახლეობასა და თბილისის საცხენოსნო კლუბის თანამშრომლებს შორის (რომელიც სოფელთან ახლოს მდებარე ცხენების ფერმას ფლობდა) 2004 წლის დეკემბერში მომხდარი დაპირისპირების შედეგად ასაკოვანი აზერბაიჯანელი ქალბატონი გარდაიცვალა.

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის ივლისში მიიღო კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ. ამ კანონის თანახმად, პრივატიზებას ექვემდებარება სახნავი და სათიბი მიწის ნაკვეთები, ასევე მიწა, რომელზეც განლაგებულია მრავალწლიანი ნარგავები, მეთევზეობის ხელოვნური ტბორები და “წყლის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული საერთო წყალსარგებლობის კატეგორიის მიწის ნაკვეთები. კანონი ითვალისწინებს სასაზღვრო ზონაში განლაგებული მიწის პრივატიზებასაც; უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობის ნებართვის მიღების შემთხვევაში შესაძლებელი გახდა სასაზღვრო ზოლში (საზღვრიდან 500 მ) განთავსებული მიწის პრივატიზებაც. მიწის პრივატიზება ხორციელდებოდა როგორც აუქციონების, ასევე პირდაპირი მიყიდვის წესის მიხედვით.

<sup>59</sup> ტექნიკური თანამშრომლობის გერმანული ორგანიზაცია (GTZ) და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტე (თბილისი), “მიწის პრობლემებთან დაკავშირებული კონფლიქტები გარდაპირის და მარნეულის რაიონებში”, იხ.

[http://www.pasos.org/content/download/57477/203611/file/45\\_171\\_803701\\_LandProblem-Eng%5B1%5D.pdf](http://www.pasos.org/content/download/57477/203611/file/45_171_803701_LandProblem-Eng%5B1%5D.pdf).

აუქციონებზე გასაყიდად იჯარით გაუცემელი მიწა გაქონდათ, ხოლო იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა მეიჯარებს პირდაპირი მიყიდვის წესით შეეძლოთ. შესაბამისად, კანონმა უპირატესობა მიანიჭა მათ, ვინც უკვე სარგებლობდა მიწებით იჯარის საფუძველზე. ახალი კანონის საფუძველზე 8,000 აზერბაიჯანულმა მიიღო 0.5 ჰა მიწა უკვე 2006 წლის პირველი შეიდი თვის მანძილზე (საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი 2006). აზერბაიჯანის საზღვართან განლაგებული სოფელ ვახტანგისის მიწა ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდა. ასევე სხვა ცალკეულ შემთხვევებში ქვემო ქართლში, როდესაც მიწის იჯარით გაცემის პროცედურაში დარღვევები დადგინდა, აღნიშნული მიწა ჩამოერთვა მოიჯარებს და სპეციალური აუქციონის სახით გაიყიდა ადგილობრივ აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე.<sup>60</sup> რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნაწილი მიწის ნაკლებობას განიცდიდა, თუმცა დღესდღეობით ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა. გარდა ამისა, მეტწილად საკუთარი უფლებების არცოდნის გამო ვერ ახერხებდა აზერბაიჯანული მოსახლეობის დიდი ნაწილი მიწის პრივატიზების უფლებით სარგებლობას.

### **მიწის განაწილება წალეის მუნიციპალიტეტში**

როგორც უკვე წინა ქვეთავში აღინიშნა, ბოლო ათი წლის მანძილზე მომხდარმა მნიშვნელოვანმა დემოგრაფიულმა ცვლილებებმა წალეის მუნიციპალიტეტში მიწის განაწილების საკითხთან დაკავშირებით დაპირისპირება გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობასა (მეტწილად სომხები და ბერძნები) და ახალმოსულებს შორის (ძირითადად აჭარიდან და სვანეთიდან გადმოსახლებული ქართველები). წინა ქვეთავი მიგრაციის პროცესს მიმოიხილავს, ხოლო ეს ქვეთავი მიწის განაწილების საკითხებს ეთმობა.

წალეის რაიონში მცხოვრები ბერძნების უმრავლესობა საბერძნეთში გადასახლდა 1991-2006 წლების მანძილზე. 1998 წლიდან კი აჭარიდან და სვანეთიდან ეკოლოგიური მიგრანტების გადმოსახლების პროცესი დაიწყო, რომელთა საკუთრებაც მშობლიურ რეგიონებში ხშირი ზვავებისა და

<sup>60</sup> ინფორმაცია მიღებულია მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციისგან.

მეწარმების შედეგად დაზარალდა. მიგრაციის პროცესმა პროცესმა პიქს 2002 წელს მიაღწია, როდესაც მიგრანტების ახალი ტალღა გადმოსახლდა წალკის რაიონში ბაქო-თბილისი-ჯეივანის ნავთობსადენის მშენებლობაში დასაქმების იმედით. კოლოგიური მიგრანტების უმრავლესობა სახლდებოდა ემიგრირებული ბერძნების მიერ დატოვებულ სახლებში. ხშირ შემთხვევაში ისინი სახლებს ემიგრანტების რაიონში დარჩენილი ნათესავებისაგან არაოფიციალურად ქირაობდნენ ან “ყიდულობდნენ”. თუმცა, ახალმოსულებს არ ქონდათ იურიდიული უფლება იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც იდგა მათ მიერ დაკავებული სახლები (მაგ.: კოლმურნეობების დაშლის შედეგად ყოფილი მესაკუთრების მიერ მიღებული მიწა). სახელმწიფო ამ პროცესს საერთოდ ვერ არეგულირებდა, რამაც ადგილობრივ მოსახლეობასა და ახალმოსულებს შორის დაპირისპირება და ცალკეულ შემთხვევებში კონფლიკტიც კი გამოიწვია (უითლი 2006).

საქართველოს ხელისუფლება პირველად ამ პროცესში 2006 წელს ჩაერია, როდესაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ბერძნების საკუთრებაში არსებული სახლების შეძენა დაიწყო. 2008 წლისათვის სამინისტრომ 600 სახლი შეძინა ეკოლოგიური მიგრანტებისათვის, რომელთაც ასევე 125 ჰა მიწა გადაეცათ თითოეულ ოჯახზე. თუმცა, სხვა მიგრანტებს (მეტწილად ეკონომიკურ მიგრანტებს), რომელთაც სახელმწიფომ მიწა არ გადასცა საერთოდ არ გააჩნდათ მიწის ნაკვეთები, რამაც დაძაბულობა გამოიწვია ეკონომიკურ მიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას და, ასევე, ეკოლოგიურ მიგრანტებს შორის. პრეზიდენტ სააკაშვილის ახალი ინიციატივის თანახმად, წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა იმ პირს, რომელსაც მიწა საერთოდ არ გააჩნია (ყველა მიგრანტებს), “პრეზიდენტის საჩუქარი” გადაეცემა 0.3-დან 1.0 ჰა-მდე მიწის ოდენობით. ამ პროცესს საფუძველი ჩაუყარა “ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ” საქართველოს კანონში 2008 წლის 21 მარტს შესულმა ცვლილებამ, რომლითაც განისაზღვრა მიწის უსასყიდლოდ გადაცემის უფლება. გარდა ამისა, წინამდებარე სამუშაო მოხსენების წერისას საქართველოს პარლამენტი კანონში დამატებითი ცვლილებების შეტანას გეგმავდა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ყველა იმ პირის დაკმაყოფილება

მიწის ნაკვეთით, ვისაც ჯერ მიწა არ მიუღია.<sup>61</sup> ამ უკანასკნელ ინიციატივას წალკის ერთმანდატიანი პარლამენტის წევრი, მიხეილ ცქიტიშვილი, სელმძღვანელობდა.<sup>62</sup> ამ პროცესის დასრულება 2009 წლის ნოემბრამდე იგეგმება და მის ფარგლებში 1,700-მა ოჯახმა უნდა მიიღოს შესაბამისი მიწის ნაკვეთი.<sup>63</sup>

#### **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დუხოვზები დუხობორების მიწის განაწილება**

როგორც უკვე აღინიშნა, სოფელი გორელოვკის მიწის საკუთრების უფლების ირგვლივ შექმნილმა გაუგებრობამ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დარჩენილი დუხობორების უმრავლესობასაც უბიძგა საქართველოს დატოვებისაკენ ბოლო წლების მანძილზე. 1990-იან წლებში მიმდინარე მიწის პრივატიზების პირველ ეტაპზე მიწის განაწილების საკითხებს ადგილობრივი კომისია განაგებდა, რომლის გადაწყვეტილების თანახმად სოფელ გორელოვკის მიწები საერთო საკუთრებაში დარჩა. კერძოდ, დუხობორების მიწის მართვის უფლება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, დუხობორეცს, გადაეცა, რომელიც სათანადოდ არც კი იყო დარეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. 2002 წელს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის იმდროინდელმა გამგებელმა კოოპერატივთან საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც ყოფილი კოლმეურნეობის მფლობელობაში მყოფი მიწის ნახევარი დუხობორეცს იჯარით გადაეცა. თუმცა, აღნიშნული ხელშეკრულება მთელი რიგირ დარღვევებით იყო გაფორმებული და შესაბამისად ძალაში შესულიც არ იყო.<sup>64</sup> შესაბამისად, როდესაც 2005 წელს ამოქმედდა საქართველოს კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ,” დუხობორების მიწა ოფიციალურად არც საერთო საკუთრებას წარმოადგენდა და არც იჯარით იყო დატვირთული

<sup>61</sup> მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ვებ-გვერდი, საქართველოს კანონი “ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ” 2008 წლის 21 მარტის მდგრმარეობით, იხ. <http://www.aplr.org/files/2/kquze0x6.pdf>.

<sup>62</sup> “წალკის მოსახლეობას მიწის ნაკვეთები უფასოდ ურიგდება”, ქვემო ქართლის დამოუკიდებელი მედია (2009 წლის 30 ივნისი), იხ. <http://www.cida.ge/media/eng/reginfo.php?id=2571>.

<sup>63</sup> ავტორის მიერ ჩატარებული ინტერვიუები.

<sup>64</sup> ხელშეკრულებას აკლდა იჯარით დატვირთული მიწის აზომვითი ნახაზი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რაიონში წარმომადგენლის ხელმოწერა, და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი (ლომი 2006).

(ზემოთხსენებული საიჯარო ხელშეკრულების ბათილობის გამო). მართალია კანონი მიწის პრივატიზებისას მეიჯარეს ანიჭებდა უპირატესობას მისი აუქციონზე გატანამდე (იხ. ზემოთ), გაურკვეველი იყო კოოპურატივის საიჯარო ხელშეკრულების სადაცო სტატუსი ანიჭებდა თუ არა დუხობორებს რაიმე უფლებას აღნიშნულ მიწაზე. გარდა ამისა, კოოპურატივი დუხობორეცი ყოფილი კოლმეურნეობის სამართალმემიკვიდრე იყო, რაც მას რეგიონული საგადასახადო სამსახურებისადმი 4 მილიონი ლარის (დაახლოებით 2 მილიონი ევრო) ოდენობის დაგალიანებას აკისრებდა (ლომი 2006).

ვითარებას ასევე ართულებდა მუნიციპალიტეტისა და თემის საკრებულოს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაც, რომელთაც 2002 წლიდან ჯავახეთის ძირითადი ეკონომიკური გავლენიან ჯგუფთად ასოციერებული ადგილობრივი სომხური წარმოშობის პირი აკონტროლებდა. მალე ცხადი გახდა, რომ ადგილობრივმა გავლენიანმა პირებმა მიზნად დაისახეს კოოპურატივის მიწის საიჯარო ხელშეკრულების ბათილობის დამტკიცება და დუხობორების მიწების მისაკუთრება. კოოპურატივ დუხობორეცის მიწის საიჯარო ხელშეკრულების საკითხის გადასაჭრელად შექმნილ მიწის კომისიის წევრების უმრავლესობას თემის საკრებულოს თავმჯდომარე და მისი თანამოაზრები წარმოადგენდნენ. შედეგად საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1,700 ჰა მიწიდან კოოპურატივს მხოლოდ 450 ჰა მიწის შენარჩუნების ნება დართეს. 2006 წელს მწირი მოსავლის გამო დუხობორებს მსხვილფეხა საქონლის გამოსაკვებად საკმარისი თივაც კი არ გააჩნდათ, რამაც დააჩქარა მათი ემიგრაციის პროცესი. დუხობორების გადასახლების შედეგად მათი საკუთრების განაწილების პროცესში ადგილობრივ გავლენიან პირებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის დაპირისპირება ქონდა ადგილი, რაც ასევე ქართველი ეკოლოგიური მიგრანტების რაიონში ჩამოსახლების თავიდან აცილებასაც ემსახურებოდა (იხ. ზემოთ).<sup>65</sup>

<sup>65</sup> პრივატიზაციის პროცესის უფრო დეტალური მიმოხილვისათვის იხ. ლომი (2006).

## 7. მოსახლეობაში გავრცელებული შეხედულებები

როგორია ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შეხედულება მმართველობის სისტემის შესახებ? კონკრეტულად კი, რა დამოკიდებულება აქვთ უმცირესობებს ქართული მოსახლეობისა და საქართველოს ხელისუფლების მიმართ? რომელი ძირითადი პრობლემები იპყრობენ მათ ყურადღებას? ამ საკითხებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის კვალდაკვალ, რომლის შემდეგაც ქართულ მოსახლეობაში გაჩნდა შიში იმისა, რომ რუსეთი შეეცდებოდა ადგილობრივი უმცირესობების გამოყენებით დაპირისპირების გადვივებასა და საქართველოს საბოლოოდ დაშლას. ამ ნაშრომის მიზნებისთვის, მიმოვინდავ ორი დიდი უმცირესობათა ჯგუფის: ჯავახეთის სომხებისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების მდგომარეობას.

### ჯავახეთის სომხები

ჯავახეთის სომხური მოსახლეობისთვის ყველაზე მტკიცნეული საკითხია სომხური ენისა და, აქედან გამომდინარე, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. მათი აზრით, ქართული მოსახლეობა ცდილობს მათ ან გადევნას ქვეყნიდან ან ქართულ საზოგადოებაში სრულ ასიმილაციას. სომხებისთვის, როგორც კავკასიის სხვა ხალხებისთვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იდენტობის მახასიათებელია ენა. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა უზრუნველყოს ქართული ენის სწავლება ეროვნული უმცირესობებისთვის აღიქმება არა მარტო ინტეგრაციის ხელშეწყობად, არამედ ზოგიერთის მიერ, პირველ ნაბიჯად ასიმილაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, მთავრობისადმი უნდობლობის მიზეზი გახდა შემდეგი გარემოებები: განათლების სისტემაში ქართული ენის სწავლების გაძლიერება და სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირებისთვის პროფესიული ტესტების შემოღება, რომელიც ქართული ენის ცოდნასაც ამოწმებენ.

სომხური მოსახლეობისთვის მიუღებელია ასევე მთავრობის ინიციატივა 2010 წლიდან საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა

საზოგადოებრივი მეცნიერებების ქართულ ენაზე სწავლების შესახებ (იხ. ზემოთ). რამდენადაც ენა და ისტორია ერის იდენტობის მთავარი მაჩვენებელია, სომხებს მიაჩნიათ, რომ საკუთარი ისტორია უნდა ისწავლონ მშობლიურ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავენ ეროვნულ თვითმყოფადობას. გარდა ამისა, სომხური მოსახლეობას ასევე აღელვებს ისტორიის სხვადასხვა სასკოლო წიგნების საკითხი. კავკასიის ხალხებს აქვთ საკუთარი ისტორიული ქრონიკები, რომელთა მიხედვითაც ერთ ერი მეორეზე უფრომ მეტ ტერიტორიებს ფლობდა, თუმცა წყაროები, ხშირად, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავს. ამიტომ, სომხები შიშობენ, რომ ქართული ისტორიის წიგნები, რომელსაც სკოლებში შემოიდებენ, არ შეესაბამება სომხურ ისტორიულ წყაროებს.

სახელმწიფო სამსახურში ქართული ენის ტესტური გამოცდის შემოღება აღიქმება სომხების ადგილობრივი ადმინისტრაციიდან განთავისფულებისა და მათი ქართველებით ჩანაცვლების მცდელობად. სომები აქტივისტები მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ 2007 წელს ჯავახეთის სკოლების დირექტორობის სომები ეროვნების კანდიდატების უმრავლესობამ ვერ ჩააბარა ქართული ენის გამოცდა (იხ. ზემოთ), ამიტომ მათ ემუქრებათ სამსახურის დაკარგვა. ანალოგიურად, მოყავთ საჯარო სამსახურში დასაქმებული სხვა პროფესიული ჯგუფების მაგალითებიც, მათ შორის, მოსამართლეების, ნოტარიუსებისა და პოლიციის ონამშრომელთა ენის ტესტები, რომელთა შემოღებაც, მათი აზრით, მიზნად ისახავს ამ სამსახურების ქართველებით დაკომპლექტებას.

სომხური ენის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შენარჩუნების მიზნით, აქტივისტები ითხოვდნენ სომხურის ოფიციალურ ენად გამოცხადებას ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. ამ ინიციატივას მხარს უჭერდნენ ნაციონალისტური ორგანიზაციები, მათ შორის, ერთიანი ჯავახი, ჯავახეთის ახალგაზრდობის სპორტული კავშირი და ვირკი და მთელი რიგი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.<sup>66</sup> ბევრი ორგანიზაცია გამოდიოდა საქართველოს ფარგლებში ჯავახეთის ავტონომიად ჩამოყალიბების მოთხოვნით, რომელსაც ეყოლებოდა საკუთარი არჩევითი

<sup>66</sup> სივილ ჯორჯია: ვებ-ურნადი (2006 წლის 16 მარტი), <http://www.civil.ge/eng/article.php?id=12088>.

ორგანო.<sup>67</sup> საქართველოს ხელისუფლება უგულებელყოფს ორივე მოთხოვნას იმ საფუძვლით, რომ ჯავახეთისთვის ავტონომიის მინიჭება საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის მთლიანობას, ხოლო სომხურის თვითმმდევრობა ენად გამოცხადებამ შეიძლება დააბრკოლოს ინტეგრაციის პროცესი.

ჯავახეთის სომხური მოსახლეობის შიშის აღქმა ხშირ შემთხვევაში ძალზე გადაჭარბებულია. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივ მასწავლებლებს შორის ქართული ენის ფლობის დონე კვლავ დაბალია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისტორიისა და გეოგრაფიის ქართულ ენაზე სწავლება დაიწყოს 2010 წელს. ანალოგიურად, სიმართლეს არ შეესაბამება სომები აქტივისტების წარმოდგენები საჯარო სამსახურიდან სომები ეროვნების პირების დათხოვნის ალბათობაზე. მაღალ თანამდებობებზე ქართველები დაინიშნენ მხოლოდ ახალქალაქის სარეგისტრაციო სამსახურსა და საგადასახადო დეპარტამენტში. ადგილობრივი ორგანოების სხვა მაღალ თანამდებობებზე, როგორიცაა, გამგებლის, პოლიციის უფროსის, პროკურორის, სასამართლოს თავმჯდომარისა და ნოტარიუსის, ისევე როგორც საკრებულოსა და გამგეობის წევრების, არიან სომები ეროვნების პირები. მიუხედავად იმის, რომ სკოლების სომებმა დირექტორებმა ვერ ჩააბარეს პროფესიული გამოცდები და, ოფიციალურად, ვეღარ შეინარჩუნებდნენ პოზიციებს, მათი უმრავლესობა კვლავ მოქმედი დირექტორებია და აქვთ კიდევ ერთი შანსი ჩააბარონ გამოცდები 2009 წლის ბოლოს.

მეტიც, იცვლება თვით სომხური მოსახლეობის დამოკიდებულება მიმდინარე რეფორმების მიმართ. თუ ხუთი წლის წინ მოსახლეობის უმრავლესობას ქართულის სწავლების ინტერესი არ ჰქონდა, ამჟამად, ადგილობრივი სომხები თვლიან, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია მიუხედავად არასაკმარისი სასწავლო რესურსებისა. გარდა ამისა, სულ უფრო ნაკლებად ისმის მოთხოვნები ჯავახეთის ავტონომიის შექმნისა და სომხური ენისათვის ადგილობრივი ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭების შესახებ. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მოსახლეობა თავს აღარ გრძნობს

<sup>67</sup> სივილ ჯორჯია: ვებ-ურნალი (2005 წლის 26 სექტემბერი),  
<http://www.civil.ge/eng/article.php?id=10827>.

“მივიწყებულად”, ვინაიდან, ერთი მხრივ, ინფრასტრუქტურის განვითარებამ ცხოვრების ხარისხი გააუმჯობესა რეგიონში; მეორე მხრივ, მოსახლეობამ გააცნობიერა, რომ ჯავახეთის სრული ავტონომიის იდეა არარეალურია, განსაკუთრებით, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, თანაც ამ ინიციატივას მხარს არც სომხეთის ხელისუფლება უჭერს.

ჯავახეთის სომხური მოსახლეობის გარკვეული ფენები შიშობენ, რომ ქართველებისა და თურქი-მესხების რეგიონში დასახლების შემთხვევაში, მათ არ ექნებათ ცხოვრების ნორმალური პირობები ჯავახეთში დასარჩენად. მოსახლეობაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მთავრობა აპირებდა 60,000 მესხის დასახლებას ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. აღელვების უფრო საფუძვლიან მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ, ჯავახეთიდან განათლებული მოსახლეობის მიგრაცია, ძირითადად, ერევანში სწავლის გასაგრძელებლად. მხოლოდ ახალგაზრდობის მცირე ნაწილი ხვდება საქართველოს აკრედიტებულ უნივერსიტეტებში, მაღალი კონკურენციისა და ქართული ენის ცოდნის დაბალი დონის გამო. ამ მხრივ, უარყოფითი მოვლენა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალის დახურვა 2007 წელს აკრედიტაციაზე უარის თქმის შედეგად, რის გამოც ბევრ ახალგაზრდას წაერთვა საქართველოში სწავლის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ერევანში უმაღლესი განათლების მირების შემდეგ ჯავახეთის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უკან აღარ ბრუნდება.

მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების გამო შეშფოთებაც გარკვეულწილად გაზვიადებულია. ჯავახეთის მოსახლეობის ცხრა-მეათედს ეთნიკური სომხები შეადგენენ. მართალია, ეკოლოგიური მიგრანტების მცირე ნაწილი დასახლდა ჯავახეთში საქართველოს სხვა რეგიონებიდან, მაგრამ მათი რიცხვი ძალიან მცირეა და ბევრი მათგანი 1980-90-იან წლებში ჩასახლდა. დუხობორების მიგრაციის შედეგად გორელოვგაში ქართველების დასახლებასაც არ გამოუწვევია მკვეთრი დემოგრაფიული ცვლილებები, ვინაიდან ადგილობრივი სომხური მოსახლეობის რიცხვი კვლავ მაღალია. ჯავახეთში თურქი-მესხების ჩასახლების თაობაზე შეშფოთებაც გაზვიადებულია. მთავრობას განზრახული აქვს გადმოსახლებას დაქვემდებარებული მესხების ყოველწლიური რაოდენობის გადანაწილება,

რომლებიც ჩასახლდებიან ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, საიდაც ისინი 65 წლის წინ იძულებით გადასახლეს. მხოლოდ მცირე ნაწილს დაასახლებენ ჯავახეთში.

ჯავახეთის სომხური მოსახლეობასა და საქართველოს მთავრობისა და ქართული საზოგადოების შორის უნდობლობა განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთ-საქართველოს 5-დღიანი ომის შემდეგ. სომხური მოსახლეობის აზრი ომთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი იყო. რეგიონში ქართული, სომხური და რუსული არხების არსებობის გამო, შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა ომის დაწყების მიზეზების შესახებ. დასაწყისში, აშკარა იყო, რომ რუსული სატელივიზიო არხებით გადმოცემულ ინფორმაციას უპირატესობა ენიჭებოდა, ვინაიდან ATV-12-მა ახალქალაქში და ფარგანის ტელევიზიამ ნინოწმინდაში, რომლებიც გადმოცემდნენ ქართულ ახალ ამბებს სომხურ ენაზე, შეაჩერეს მუშაობა 12 აგვისტომდე. ამის გამო, მოსახლეობამ ირწმუნა ქართული ჯარების მიერ ოსური მოსახლეობის “გენოციდის” ფაქტი. თუმცა, უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის კვლევის მიხედვით, ახალქალაქისა და ნინოწმინდის არაქართული მოსახლეობის 74%-ს ხელი მიუწვდება ადგილობრივ სატელივიზიო არხებზე – იმავე რაოდენობას ხელი მიუწვდება სომხურ და რუსულ სატელივიზიო არხებზე; ხოლო, მოსახლეობის 18%-ს ხელი მიუწვდება აჭარის ტელევიზიის რუსულენოვან გადაცემებზე, რომლებიც ასევე გადმოცემდნენ მოვლენების ქართული მხარის ვერსიას. მოგვიანებით, როდესაც მოსახლეობას სხვადასხვა წყაროების ინფორმაციის შედარების შესაძლებლობა მიეცა, დადებითად განეწყვნენ ქართული შხარისადმი. ზემოხსენებული კვლევის შედეგებით, რომელიც ომიდან ორი თვის თავზე ჩატარდა, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით, ქალაქის მცხოვრებლები ომთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებასდმი უფრო კრიტიკულად იყვნენ განწყობილი.

ომის შემდგომ პერიოდში, ჯავახეთში ხელისუფლების კონტროლი გამკაცრდა; სამართალდამცავმა ორგანოებმა დააპატიმრეს რამდენიმე გავლენიანი სომეხი აქტივისტი, რამაც აღშფოთება გამოიწვია საზოგადოების პოლიტიკურად აქტიურ ნაწილში. ადგილობრივი უშიშროების სამსახურები განსაკუთრებული მონდომებით იძიებდნენ ცენტრალური ხელისუფლების დაუმორჩილებლობის

ფაქტებს. ამის მაგალითია, სომები აქტივისტის, ჩახალიანის (იხ. ზემოთ) დაპატიმრება 10 წლის ვადით საპროტესტო აქციის ორგანიზებისა და სხვა ქმედებებისთვის. ბევრი სომები აქტივისტი ჩახალიანის დაპატიმრებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად განიხილავდა, ხოლო ბელორუსიული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობას მიაწერდნენ ქართული უშიშროების სამსახურების მიერ გათამაშებულ სცენარს, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი სომხების ხელისუფლებისადმი ერთგულების შემოწმებას. ამავდროულად, ბევრი აქტივისტი ბრალს დებს მინასიანსა და აკოფანიანს ქართულ-სომხური ურთიერთობის გაფუჭებაში.<sup>68</sup>

ადგილობრივი აქტივისტების უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე 62-ე რუსული დივიზიის სამხედრო ბაზის გაყვანა 2007 წელს. მიუხედავად, ბაზის გაყვანის გამო მოსახლეობის წინააღმდეგობისა, რომელიც გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ ისინი კარგავდნენ შემოსავლის წყაროს და ჯავახეთი ვერ აცდებოდა თურქეთის აგრესიას, ბაზის გაყვანის შემდეგ საპროტესტო ტალღა ჩაწყნარდა. უფრო მნიშვნელოვანი მსჯელობის თემა გახდა საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან და დასავლეთთან. საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივის გამო, სომხური საზოგადოება მიიჩნევდა, რომ თურქული შენაერთებით დაკომპლექტებული ნატოს ჯარები განლაგდებოდნენ ჯავახეთში. ზოგიერთი სომები ნაციონალისტის აზრით, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო სარკინიგზო ხაზის მშენებლობა გეოპოლიტიკური პროექტია, რომლის მიზანია სომხეთის იზოლირება. მათი შეხედულებით, მოსალოდნელია აზერბაიჯანული ან/და თურქული საჯარისო ნაწილების განლაგება ჯავახეთში რკინიგზის დასაცავად და ახალი სამუშაო ძალის მოზიდვა ქვეყნის სხვა რეგიონებიდან.

ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში არ გადაწყდება, ვინაიდან ნატო არ ჩქარობს საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) შეთავაზებას. გარდა ამისა, თუ რკინიგზის მშენებლობის პროექტი განხორციელდა და ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებენ, ისინი პროექტის წინააღმდეგ აღარ გამოვლენ. ბევრი გავლენიანი სომები მხარს უჭერს პროექტს. ახალქალაქის გამგებელი და

<sup>68</sup> ავტორთან ინტერვიუ.

ერთიანი ჯავახის ყოფილი მხარდამჭერი, ნაირი ირიციანი, 2005 წელს, მერად ყოფნის დროს, ყარსში იმყოფებოდა ვიზიტით და შეხვდა ადგილობრივ თანამდებობის პირებს თურქეთთან სასაზღვრო თანამშრომლობის საკითხებზე. ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი ნაწილი მოხარულია სარკინიგზო პროექტის ადმინისტრაციის დაპირებით გშენებლობაში მოსახლეობის 70-75%-ის დასაქმების თაობაზე, თუმცა სხვები სკეპტიკურად უდგებიან ამ საკითხს.

რეგიონების მოსახლეობისთვის პოლიტიკურზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც გამოიხატება მოსახლეობის სურვილში ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნით ოჯახის წევრის რუსეთში სეზონურ სამუშაოზე გამგზავრების გარეშე. მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს ირჩენს სოფლის მეურნეობაში დასაქმებით ირჩენს თავს, მაგრამ საქართველოს ბაზარზე ჯავახეთის პროდუქციაზე, მათ შორის, კარტოფილზე მოთხოვნა არც თუ ისე დიდია, ვინაიდან ბაზარზე თურქული პროდუქცია ჭარბობს. დაპირების მიუხედავად, რომ ქართული ჯარი შეიძენდა კარტოფილს ჯავახეთში რუსული სამხედრო ბაზრის გაყვანის შემდეგ, 2008 წელს ცნობილი გახდა, რომ ჯარი მარაგდებოდა თურქეთიდან იმპორტირებული კარტოფილით. თუმცა, 2009 წლის თბერვალში, ახალქალაქში ყოფნისას ქართული ჯარის წარმომადგენელმა კვლავ შესთავაზა ჯავახეთის მოსახლეობას ადგილობრივი კარტოფილის შეძენა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ნაირი ირიციანის თხოვნის შედეგად, მთავრობამ შეამცირა თურქეთიდან კარტოფილის იმპორტი, მაგრამ რამდენად შეესაბამება ეს ფაქტი სიმართლეს, გაურკვეველია.<sup>69</sup> რეგიონის მოსახლეობისთვის ძალიან სერიოზული პრობლემაა შეშის ნაკლებობა, მითუმეტეს ჯავახეთის მკაცრი ზამთრის პირობებში. მართალია, მოსახლეობას დაურიგდა შეშის ვაუჩერები 2007-08 ზამთარში საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს მიცემული დაპირების შედეგად, ვაუჩერები აღმოჩნდა გამოუსადეგარი, ვინაიდან მოსახლეობამ ვერ გადაცვალა ვაუჩერი შეშაზე. ამიტომ, ადგილობრივი მცხოვრებნი მიიჩნევდნენ, რომ ვაუჩერების დარიგება მხოლოდ ფუჭი წინსაარჩევნო დაპირება იყო.

<sup>69</sup> ავტორის ინტერვიუ.

## ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები

ქვემო ქართლის მოსახლეობა მეტწილად ეკონომიკური პრობლემებით შემოიფარგლება თავის მოთხოვნებში, განსხვავებით ჯავახეთის მცხოვრებლებისაგ, რომლებიც პოლიტიკური საკითხებითაც არიან ძალზე დაინტერესებული. აზერბაიჯანული მოსახლეობის მთავარი საზრუნავი მიწების განაწილების საკითხია (იხ. ზემოთ). მდიდარი მიწის მესაკუთრეები განაგრძობენ ქვეიჯარით მიწის გაცემას ადგილობრივ მოსახლეობაზე, შედეგად, ბევრი მათგანი სიღარიბის ზღვარზეა. აზერბაიჯანულ მოსახლეობას აღარც ვაჭრობის შესაძლებლობა აქვს სადახლოს ბაზრის 2005 წლის დეკემბერში კონტრაბანდის აკრძალვის მოტივით დახურვის შემდეგ. საბაჟო წესების გამკაცრების შედეგად 2006 წელს აზერბაიჯანულმა მხარემ წითელი ხიდის ბაზარიც დახურა მხოლოდ საზღვრის აზერბაიჯანულ მხარეს. ორივე ბაზარი წარმოადგენდა ადგილობრივი აზერბაიჯანელების შემოსავლის ძირითად წყაროს (საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი 2006). ადგილობრივი აქტივისტების განცხადებით, აზერბაიჯანული მოსახლეობა გახდა საქართველოს მთავრობის ანტი-კორუფციული კამპანიის მსხვერპლი, ამიტომ ისინი მოითხოვდნენ სადახლოს ბაზრის აღდგენას. კონკრეტულად, აქტივისტები მიუთითებდნენ ქვემო ქართლის მოგაჭრებისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვაზე ქუჩებში, როდესაც ეს დაშვებული იყო საქართველოს სხვა რეგიონებში.<sup>70</sup>

ქვემო ქართლში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს აზერბაიჯანული მოსახლეობაში უმუშევრობის მაღალი დონე. ზუსტი მონაცემების არარსებობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია. თუმცა, სხვადასხვა სიმწვავით ეს პრობლემა საქართველოს სხვა რაიონებშიც დგას, ხოლო ბოლო პერიოდის ეკონომიკური ზრდა შეეხო მხოლოდ დედაქალაქს, თბილისს. აზერბაიჯანელებს მცირე შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო უმუშევართა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა ბაზრების დახურვის შემდეგ. ჯავახეთის

<sup>70</sup> “ტოლერანტობა”, ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოებრივი ასოციაცია, არასამთავრობო ორგანიზაციების ალტერნატიული ანგარიშის დანართი “საქართველოს მიერ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონცენტრაციის იმპლემენტაცია ქვემო ქართლის რეგიონში”, [http://www.tolerance.org.ge/en/monitoring\\_reports/files/appendix\\_FCNM\\_eng.pdf](http://www.tolerance.org.ge/en/monitoring_reports/files/appendix_FCNM_eng.pdf).

მსგავსად, ახალგაზრდები უკეთესი მომავლის იმედით მიემგზავრებიან ბაქოსა და რუსეთში.

გარდა ამისა, ქვემო ქართლის მოსახლეობა თითქმის არ არის ინფორმირებული მიმდინარე მოვლენების შესახებ. მარნეულის ერთ-ერთი არასამთავრო ორგანიზაციის ლიდერის განცხადებით, ის ხშირად თბილისში იღებს ინფორმაციას მშობლიურ ქალაქში მომხდარ სიახლეებზე.<sup>71</sup> უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის კვლევის შედეგების თანახმად, გარდაბნის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტების არაქართული მოსახლეობა ინფორმაციას იღებს საშუალოდ 0.95 ადგილობრივი არხებიდან, ხოლო ჯავახეთის მოსახლეობა საშუალოდ – 1.6-დან.<sup>72</sup> ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თბილისთან სიახლოვის გამო ქვემო ქართლში მეტი ქართული არხებია. სამივე მუნიციპალიტეტის არაქართული მოსახლეობის მხოლოდ 3.5% იღებს ინფორმაციას ადგილობრივი სატელევიზიო არხებიდან ჯავახეთის 74%-თან შედარებით (იხ. ზემოთ). ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ადგილობრივი არხები აზერბაიჯანულ ენაზე თითქმის არ გადმოცემენ. მხოლოდ ბოლნისის სატელევიზიო კომპანია “მუ-12 არხი”, ჯავახეთის სატელევიზიო კომპანიების ATV-12-ისა და ფარვანას მსგავსად, გადასცემს ქართულ ახალ ამბებს აზერბაიჯანულ ენაზე<sup>73</sup> შექმნილი საინფორმაციო ვაკუუმის გამო, მოსახლეობა არ არის ინფორმირებული პოლიტიკისა და მმართველობის საკითხების შესახებ და, ზემოაღნიშნული გამოკითხვის შედეგების მოწმობს, არაქართულმა მოსახლეობამ არ იცის რა პარტიები და ბლოკები იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

შესაბამისად, აზერბაიჯანული მოსახლეობის არასათანადო ინფორმირებულობის გამო, ითვლება, რომ ისინი პოლიტიკურად ნაკლებად აქტიური არიან, ჯავახეთის მოსახლეობასთან შედარებით. გარდა ამისა, სატელევიზიო არხების ნაკლებობამ, რის შედეგადაც მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესების თაობაზე, შეიძლება შედეგად გამოიწვიოს მოულოდნელ საპროტესტო გამოსვლები.

<sup>71</sup> ავტორის ინტერვიუ.

<sup>72</sup> მნიშვნელოვანია 0.001 დონეზე, ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ლევინის ტესტი თანასწორობის ვარიაციათა და ტესტი საშუალებების თანასწორობის შესახებ

<sup>73</sup> იხ. ტელეარხის ვებ-გვერდი, <http://tv12.ge/eng/programmes.html>.

როგორც უკვე აღინიშნა, მიწების განაწილების პროცედურასთან დაკავშირებით 2004-05 წლებში გაიმართა საპროტესტო აქციები, რომლებიც ძალადობაში გადაიზარდა, რასაც შედეგად მოყვა მოხუცი აზერბაიჯანელი ქალბატონის გარდაცვალება (საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი 2006).

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის ნაკლებობა ქმნის ახალ პრობლემებს. ვინაიდან, ხელისუფლებაში, ძირითადად, ქართველები არიან დასაქმებული (იმ რეგიონებშიც კი, სადაც აზერბაიჯანელი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს), ენობრივი ბარიერის გამო, მოსახლეობა მოკლებულია შესაძლებლობას გაიგოს ადმინისტრაციის მუშაობის მიმართულებები და ჩაერთოს მათ საქმიანობაში. მართალია, რუსული ენა კვლავ რჩება კომუნიკაციის მთავარ საშუალებად, მაგრამ არც მოსახლეობის დიდი ნაწილი და არც ხელისუფლების წარმომადგენლები ფლობენ ენას სათანადო დონეზე; თავის მხრივ, ადმინისტრაცია იღებს ქართულ ენაზე წარდგენილ წერილობით დოკუმენტაციას. ამ მხრივ, ჯავახეთში უკეთესი ვითარებაა, ვინაიდან მოსახლეობაც და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც ერთ ენაზე საუბრობენ.

აზერბაიჯანელი აქტივისტების მთავარი პოლიტიკური მოთხოვნა ადგილობრივ ხელისუფლებაში წარმომადგენლობის უფლების მოპოვებაა. მხოლოდ მცირე ნაწილი მოითხოვს აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებული რაიონების პოლიტიკურ ავტონომიას. ამ მხრივ, ყველაზე რადიკალური ნაბიჯი იყო საქართველოს აზერბაიჯანელთა ნაციონალური ასოციაციის მოთხოვნა აზერბაიჯანულის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ. სხვა გავლენიანი ჯგუფები, როგორიცაა აზერბაიჯანელთა კონგრესი, იბრძვიან აზერბაიჯანული მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და მოითხოვენ ხელისუფლებისგან, რომ ხელი შეუწყოს აზერბაიჯანელებისთვის ქართული ენის სწავლებასა და სახლებრივო სექტორში დასაქმებას. რამდენადაც ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში ქართული ენის შესწავლის აუცილებლობაზე აზრთა სხვადასხვაობაა, აზერბაიჯანელთა უმრავლესობა მოწადინებულია, ისწავლოს ქართული, მაგრამ, როგორც წესი, მოკლებულია ასეთ შესაძლებლობას. აზერბაიჯანული მოსახლეობის სურვილი შეისწავლონ

ქართული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ქვემო ქართლი ახლოსაა თბილისთან, ამრიგად მათთვის ბევრად ადვილია სასწავლებლად თუ სამუშაოდ გაემგზავრონ თბილისში ვიდრე შორეულ ბაქოში.

ადგილობრივი ინტელიგენციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სოფლების ტოპონიმიკის საკითხი. ბევრი აზერბაიჯანული სახელწოდების სოფელს მიანიჭეს ქართული გეოგრაფიული დასახელება 1990 წლების დასაწყისში, როდესაც ქართული ნაციონალისტური მოძრაობა ძლიერ მომძლავრდა. ადგილობრივი ასოციაციის, მტრედის, მონაცემებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში 31 სოფელს დაერქვა ქართული სახელები.<sup>74</sup> მთავრობა უგულებელყოფდა საინიციატივო ჯგუფების მოთხოვნას აზერბაიჯანული ტოპონიმიკის აღდგენაზე. ამით, ხელისუფლება აღდგევს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის 11.3 მუხლის მოთხოვნას რომლის მიხედვითაც, “მხარეებმა უნდა უზრუნველყონ . . . . ადგილობრივი ტრადიციული დასახელებების, ქუჩების დასახელებებისა და სხვა საჯარო ტოპოგრაფიული მაჩვენებლების განთავსება უმცირესობათა ენებზეც, თუ არსებობს ამის სათანადო მოთხოვნა.”

ბოლნისის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთ სადაცო საკითხს წარმოადგენს აზერბაიჯანულ სოფლებში ქრისტიანული ჯვრების აღმართვის დამკვიდრებული პრაქტიკა. აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებების გადმოცემით, 2008 წლის ბოლოს, საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით ჯვრები აღმართეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში, ჭაპალასა (აზერ. გონჭულუ) და ქვემო ბოლნისში (აზერ. კაპანახჩი). მოგვიანებით, ჯვრები ჩამოხსნეს და ხელისუფლების დაპირებით, მსგავსი შეთხევება აღარ განმეორდებოდა.<sup>75</sup> თუმცა, ადგილობრივი აქტივისტების განცხადებით ჯვარი აღმართეს სხვა აზერბაიჯანულ სოფელშიც ოფიციალური პირების თანდასწრებით, 2009 წლის

<sup>74</sup> საზოგადოებრივი გაერთიანება, მტრედი, “ტოპონიმიკის აღდგენა ქვემო ქართლის რეგიონში ინტერ-ეთნიკური დიალოგის განახლების წინაპირობაა”, [http://www.minelres.lv/reports.georgia.PublicAssociationMredi\\_Georgia\\_jan09\\_en.doc](http://www.minelres.lv/reports.georgia.PublicAssociationMredi_Georgia_jan09_en.doc).

<sup>75</sup> სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია, Azerbaijan News Portal, “საქართველოს აზერბაიჯანულ სოფლებში ჯვრების აღმართვა შეჩერებულია” (2009 წლის 4 თებერვალი), <http://www.avciya.az/eng/2009/02/04/placing-of-crosses-in-azerbaijani.html>.

აპრილში.<sup>76</sup> აქტივისტები განმარტავდნენ, რომ ქვემო ქართლის თანამედროვე მუსლიმანური საზოგადოება პატივისცემით ეპურობოდა ქრისტიანული ჯვარის სიმბოლოს, მაგრამ მათი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი რელიგიური გრძნობების მიზანმიმართული შეურაცხოფა გახდა.

## 8. დასკვნა

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი საგრძნობლად დაჩქარდა ვარდების რევოლუციის შემდეგ. ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობებით, სომხებითა და აზერბაიჯანელებით, დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის დინამიკის უკეთ შესწავლის შედეგად, ვლინდება, რომ ინტეგრაციის პროცესმა გამოიღო როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური შედეგები. პოზიტიური თვალსაზრისით, ხელისუფლებამ დაიწყო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გამოიხატა გზებისა და სკოლის შენობების აღდგენაში ჯავახეთის რეგიონში, ასევე მიიღო ქმედითი ზომები უმცირესობათა ჯგუფებისთვის ქართული ენის სწავლების დონის ასამაღლებლად. მეორე მხრივ, ხელისუფლებამ თითქმის არაფერი მოიმოქმედა ავტორიტარული ძალების აღმოსაფხვრელად და დემოკრატიის რეალური მეთოდების გასატარებლად. ჯავახეთის რეგიონში მთავრობა იყენებს შევარდნაძის ადმინისტრაციის მეთოდებს და სომხური საზოგადოების მდიდარ და გავლენიან წევრებს აძლევს საშუალებას მართონ რეგიონი და მათი საშუალებით ახშობს ყველა საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ხელისუფლების ჰეგემონიას. ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობა ფაქტიურად ჩამოცილებულია რეგიონის მართვას.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით, მთავრობა რეალურ საფრთხეს ხედავს რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებული წრეების საქმიანობაში, რომელიც შესაძლოა მიმართული იყოს საზოგადოების ეთნიკური ნიშნით დაყოფისკენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზნით. შესაბამისად, 2008 წლის აგვისტოს ომის ფონზე ასეთი საფრთხის არსებობა

<sup>76</sup> ავტორის ინტერვიუ.

უფრო სერიოზულად აღიქმებოდა მთავრობის მიერ. თუმცა, უმცირესობათა გაერთიანებების მიმართ ეჭვის თვალით დამოკიდებულებამ შესაძლოა უბიძგოს ამ ჯგუფებს უფრო რადიკალური ნაბიჯებისკენ. ამ გაგებით, წალკის რაიონში სახელმწიფო უშიშროების სამსახურების გაძლიერება გამართლებულია ადრეული კონფლიქტების რეგულირებისთვის, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, სადაც სამართალდამცავი ორგანოების მოზღვავება გამოიწვევს შიშსა და ეჭვს უმცირესობებში.

საბოლოო ჯამში, ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდება, თუ რეალურად იარსებებს სახელმწიფო ენის სწავლების, საქართველოში ცხოვრებისა და საქმიანობის ხელშემწყობი პირობები. ამისათვის, უპირველესად, საჭიროა შედეგიანი და ორგანიზებული ქართული ენის შემსწავლელი კურსების შემოღება, რომლებიც დაეყრდნობა ეფექტიან მეთოდოლოგიას და განხორციელდება რეალური დროის მონაკვეთში. განათლების პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების მიზიდვას ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები რეგიონებში ეთნიკური ქართველებისა და უმცირესობათა წარმომადგენლების დასაქმების მიზნით. გარდა ამისა, ხელისუფლებამ უნდა გაატაროს დემოკრატიული რეფორმები, რის შედეგადაც ეროვნული უმცირესობები უშუალო მონაწილეობას მიიღებენ რეგიონის მმართველობაში. საქართველოს მთავრობის ნაბიჯები ქართულის სწავლებასთან დაკავშირებით, სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების მხრივ მისასალმებელია, მაგრამ ამ მიმართულებით უფრო ქმედითი ზომები მისაღება არის საჭირო.

## ბიბლიოგრაფია

International Centre for Civic Culture (1999), Political Parties of Georgia: Directory 1999, at <http://www.osgf.ge/iccc/pages/pdf/eng-ppg99.pdf>.

International Crisis Group (2006), "Georgia's Armenian and Azeri Minorities", Europe Report N°178, 22 November 2006, at <http://www.reliefweb.int/library/documents/2006/icg-caucasus-22nov.pdf>.

Lohm, Hedvig (2006) "Dukhobors in Georgia: A Study of the Issue of Land Ownership and Inter-Ethnic Relations in Ninotsminda rayon", ECMI Working Paper #35, November 2006 at [http://www.ecmi.de/download/working\\_paper\\_35\\_en.pdf](http://www.ecmi.de/download/working_paper_35_en.pdf).

Lohm, Hedvig (2007). "Javakheti after the Rose Revolution: Progress and Regress in the Pursuit of National Unity in Georgia." ECMI Working Paper #38, April 2007 at [http://www.ecmi.de/download/working\\_paper\\_38.pdf](http://www.ecmi.de/download/working_paper_38.pdf).

Ministry of Economic Development of Georgia, Department of Statistics (2008a), *Quarterly Bulletin* (2008, IV), at [http://www.statistics.ge/\\_files/georgian/Quarterly%20Bulletin%20IV\\_2008.pdf](http://www.statistics.ge/_files/georgian/Quarterly%20Bulletin%20IV_2008.pdf).

Ministry of Economic Development of Georgia, Department of Statistics (2008b), *Statistical Yearbook of Georgia 2008*, at [http://www.statistics.ge/\\_files/yearbook/Yearbook2008.zip](http://www.statistics.ge/_files/yearbook/Yearbook2008.zip).

Trier, Tom and Turashvili, Medea (2007), "Resettlement of Ecologically Displaced Persons Solution of a Problem or Creation of a New? Eco-Migration in Georgia 1981 – 2006". ECMI Monograph #6, August 2007, at [http://www.ecmi.de/download/monograph\\_6\\_en.pdf](http://www.ecmi.de/download/monograph_6_en.pdf).

Wheatley, Jonathan (2004), "Obstacles Impeding the Regional Integration of the Javakheti Region of Georgia", ECMI Working Paper #22, September 2004, at [http://www.ecmi.de/download/working\\_paper\\_22.pdf](http://www.ecmi.de/download/working_paper_22.pdf).

Wheatley, Jonathan (2005), "Obstacles Impeding the Regional Integration of the Kvemo Kartli Region of Georgia", ECMI Working Paper #23, February 2005, at [http://www.ecmi.de/download/working\\_paper\\_23.pdf](http://www.ecmi.de/download/working_paper_23.pdf).

Wheatley, Jonathan (2006), "Defusing Conflict in Tsalka District of Georgia: Migration, International Intervention and the Role of the State." ECMI Working Paper #36, October 2006 at [http://www.ecmi.de/download/working\\_paper\\_36\\_en.pdf](http://www.ecmi.de/download/working_paper_36_en.pdf).